შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის

სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

კრიმინოლოგია და მოძღვრება დანაშაულზე

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი: **გიორგი ნებიერიძე**

ნაშრომის ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი გივი ლობჟანიძე

თბილისი

2020

შინაარსი

ანოტაცია 4

Annotation..... 5

შესავალი 6

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა 8

თავი II. კრიმინოლოგია 9

2.1. კრიმინოლოგიის არსი..... 9

2.2. კავშირი სხვა მეცნიერებებთან 10

2.3. კრიმინოლოგიის საგანი და ობიექტი..... 12

2.4. კვლევის მეთოდები..... 13

თავი III.დანაშაული 17

3.1. ისტორიული მიმოხილვა..... 17

3.2. ძირითადი მახასიათებლები 18

3.3. დანაშაულის მიზეზების ზოგადი დახასიათება..... 20

3.4. დანაშაულის მიზეზები ქართულ კანონმდებლობაში 21

თავი IV. დანაშაულის პრევენცია 25

4.1. პრევენციის არსი და მიზანი..... 25

4.2. დანაშაულის პრევენცია ქართულ სისხლის სამართალში..... 26

4.3.პრევენციის სახეები..... 28

თავიV. ცალკეული დანაშაულების დახასიათება და მათი პრევენცია..... 30

5.1. ორგანიზებული დანაშაული..... 30

5.2. ნარკოტიკული დანაშაული..... 32

5.3. რეციდიული დანაშაული 35

5.4. არასრულწლოვანთა დანაშაული 36

5.5. ოჯახური დანაშაული 39

5.6. ტერორიზმი 41

5.7. ადამიანთა ტრეფიკინგი 44

თავი VI. კვლევის შედეგები 49

დასკვნა 51

გამოყენებული ლიტერატურა 55

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომში განხილულია სოცილურ-სამართლებრივი მეცნიერების კრიმინოლოგიის კონკრეტულად კი დანაშაულის ძირითადი ელემენტები და მახასიათებლები, როგორც ქართული კანონმდებლობის ასევე უცხოური კანონმდებლობის მაგალითზე.

მიმოხილულია კრიმინოლოგიის არსი, მისი წარმოშობის და განვითარების ისტორია, ასევე მისი ძირითადი ელემენტები კრიმინოლოგიის საგანი რომელსაც წარმოადგენს დანაშაული და ობიექტი ანუ ინდივიდი, ასევე დანაშაულის როგორც სისხლის სამართლის ელემენტის ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპები, რაშიც იგულისხმება მისი განხილვა, თუ რამდენად მოიცავს ესა თუ ის ქმედება დანაშაულის ნიშნებს და რაც ყველაზე მთავარია ამ ქმედებისთვის არის თუ არა შესაბამისი სასჯელი განსაზღვრული, ასევე მნიშვნელოვანია იმის ცოდნა თუ რა წესებს და პირობების მოიცავს დანაშაულის განსაზღვრა შესაბამისი სასჯელით, ამისათვის მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის კანონმდებლობა იქნეს გაანალიზებული რაც ნაშრომის ძირითად თავებში იქნება წარმოდგენილი. ასევე გაანალიზებულია დანაშაულის თავიდან აცილების მეთოდები და კონკრეტული დანაშაულების მაგალითზე შემუშავებულია რეკომენდაციები.

Annotation

The present survey reviews the social and legal science criminology, in particular – the main elements and features of the crime, considering Georgian and foreign legislation examples.

The essence, the history of its origins and development, and the main elements are discussed in this work, the subject of criminology, which is crime and object/ individual, also the stages of forming and development of the crime, as part of the law, which means reviewing to what extent the action contains the signs of the crime, and the most important – if there is a relevant punishment defined for the action, it is also important to know what rules and conditions are considered when determining the punishment for a crime. It is important to analyse criminal law legislation for these matters, which will be presented in the main chapters of the work. Methods to prevent crime have also been analyzed and recommendations have been developed on the example of specific crimes.

შესავალი

თემის აქტუალობა. მოცემული ნაშრომი შეეხება სოციალურ სამართლებრივ მეცნიერებას, რომელმაც კაცობრიობის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა, ვინაიდან იგი მოიცავს ისეთ საკითხს რომელიც სისხლის სამართალში უდიდეს როლს თამაშობს, ეს არის დანაშაული და მისი სისტემა, რომელზეც აგებულია ზოგადად საქართველოს სისხლის სამართალი, გაანალიზებულია მისი თვისებები და წარმოშობის მიზეზები, ასევე განხილულია ზოგადად დანაშაულის პრევენცია და მისი სახეები, ამასთან დახასიათებულია ქართული კანონმდებლობის მიდგომა ამ საკითხისადმი და ის ღონისძიებები, რომლებსაც კანონმდებელი ამ პრობლემის მოსაგვარებლად ღებულობს. თემის აქტუალურობა ასევე გამოიხატება იმასი, რომ მასში დახასიათებული და გაანალიზებულია ისეთი დანაშაულები რომლებიც საერთაშორისო დონის პრობლემას წარმოადგენენ მათი გავრცელების მასშტაბებით და შემუშავებულია კონკრეტული რეკომენდაციები ამ დანაშაულების თავიდან აცილების ბრძოლის გასაუმჯობესებლად. შესაბამისად თემა აქტუალობას არ კარგავს მიუხედავად სხვადასხვა ლიტერატურაში განხილვისა, რადგან საუკუნეების განმავლობაში მუდმივად ხდებოდა მისი სახის ცვლილება რაც დღესაც გრძელდება.

კვლევის მიზანი: კვლევის მიზანია კრიმინოლოგიის და მისი შემადგენელი ნაწილის შინაარსის უკეთ გაანალიზება, რათა მკითხველისთვის ადვილად აღსაქმელი გახდეს დანაშაულის და მისი სისტემის შემადგენელი ელემენტების ერთმანეთთან კავშირი და მათი ზემოქმედება სასჯელის განსაზღვრისას. ასევე დანაშაულის პრევენციის მნიშვნელობის წარმოჩენა და ცალკეული დანაშაულების შემთვევაში ამ მხრივ რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის ამოცანა: კვლევის ამოცანაა მოძიებულ იქნას სამეცნიერო ლიტერატურა თემის ისტორიული განვითარების ეტაების შესახებ, ასევე განხილულ იქნას ქართული კანონმდებლობის მიდგომა საკვლევი თემის მიმართ და რეკომენდაციების შემუშავება დანაშაულის თავიდან აცილების საკითხში.

კვლევის მეთოდები: რაც შეეხება კვლევის მეთოდებს, თემის წერისას ყურადრება გამახვილებულ იქნა თეორიულ მასალაზე, რომელშიც მოიაზრება ასევე ნორმატიული მასალა, რისი მეშვეობითაც მოხდა სამართლებრივი ანალიზიც.

მეორე თავი შეეხება კრიმინოლოგიის ზოგადი ცნების განსაზღვრას და მისი შემაგენელი ელემენტების საგნისა და ობიექტის განხილვას, ასევე მეთოდებს, რომლის მეშვეობითაც კრიმინოლოგია მოიძიებს ინფორმაციას.

მესამე თავი შეეხება ზოგადად დანაშაულის არსს და მის ისტორიულ მიმოხილვას. გაანალიზებულია დანაშაულის ძირითადი მახასიათებლები და მიზეზები. ასევე განხილულია დანაშაულის მიზეზები ქართული კანონმდებლობის მიხედვით.

მეოთხე თავი შეეხება დანაშაულის პრევენციის ზოგად დახასიათებას და მის მნიშვნელობას ქართულ სისხლის სამართალში, ასევე განხილული იქნება პრევენციის სახეები.

მეხუთე თავი დაეთმობა ცალკეული დანაშაულების დახასიათებას და მათი პრევენციისათვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას.

მეექვსე თავი დაეთმობა კვლევის შედეგებს და დასკვნას.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

მოცემულ ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა როგორც ქართული, ასევე უცხოური წყაროები, რათა მომხდარიყო კრიმინოლოგიის და დანაშაულის ზოგადი დახასიათება, ასევე გამოყენებული იქნა ნორმატიული მასალა რომელტა საშუალებითაც მოხდა ამა თუ იმ საკითხის უფრო ნათლად წარმოჩენა ქართული კანონმდებლობის თვალსაზრისით.

თითოეულ გამოყენებულ წიგნში გარკვეულ დონეზე განხილულია კრიმინოლოგიის მნიშვნელობა, ასევე დახასიათებულია დანაშაული თავისი ძირითადი ელემენტებთნ ერთად, ახსნილია დანაშაულის მიზეზები, მათზე ზემოქმედების მექანიზმები. ამასთან გაანალიზებულია პრევენციის მნიშვნელობა და მისი სახეები, ასევე მიმოხილულია ქართული სისხლის სამართლის სფეროში პრევენციის პროცესის არსებობა და მნიშვნელობა და ამის უკეთ გააზრებისთვის განხილული იყო დანაშაულის ცალკეული მაგალითები.

აქედან გამომდინარე ნაშრომის ყველა თავში მოცემული ინფორმაცია შეჯერებულია თითოეული წიგნში ამ თემასთან დაკავშირებული მასალის წაკითხვისა და გაანალიზების საუძველზე. ასევე უცხოურ მასალაში კარგად იყო აღწერილი კრიმინოლოგიისა და დანაშაულის ზოგადი დახასიათებები რაც ასევე გამოყენებულ იქნა მსჯელობაში. ხოლო ნორმატიული მასალები დამეხმარა ამა თუ იმ ტერმინის უკეთ გააზრებასა და წარმოჩენაში.

თავი II. კრიმინოლოგია

2.1. კრიმინოლოგიის არსი

კრიმინოლოგია არის კვლევისა და ცოდნის სისტემა,[1] რომელიც სწავლობს დანაშაულის ხასიათს და მისი ჩადენის საფუძვლებს. შესაბამისად სისხლის სამართალში დანაშაულს და მის გარშემო არსებულ ყველა დეტალს მოიცავს კრიმინოლოგია, რომელიც აყალიბებს გარკვეულ წესებს და პირობებს, რომლის მიხედვითაც დგინდება დანაშაულის ხასიათი.[2]

ასევე მისი ძირითადი მახასიათებელი არის ის რომ იგი მოიცავს არა მხოლოდ დანაშაულის წარმოშობის საფუძვლებს არამედ განსაზღვრავს ამ ქმედების წინასწარ აღმოფხვრის საშუალებებს. იგი სწავლობს არა რომელიმე კონკრეტულ დანაშაულს, არამედ ზოგადად დანაშაულის მასობრივ ქცევას, რომელიც წარმოადგენს საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე დიდ პრობლემას.[3] იგი ასევე შეისწავლის საზოგადოებაში წარმოქმილ წინააღმდეგობებს ანუ პრობლემებს, რადგან უმეტესად ისინი იწვევენ დანაშაულს.[4]

იმისათვის რომ კრიმინოლოგიის არსი ბოლომდე იქნას შეცნობილი აუცილებელია განხილულ იქნას მისი საგანი და ობიექტი. კრიმინოლოგიის საგანი ანუ დანაშაული მისი ძირითადი ელემენტია, ვინაიდან სწორედ დანაშაულის ხასიათის შესწავლა ქმნის კრიმინოლოგიის არსს.[5] იქიდან გამომდინარე, რომ კრიმინოლოგია მიეკუთვნება მეცნიერებას მას ახასიათებს ახალი ინფორმაციის მიღება ან პირიქით, არსებულის გამოკლება, მაგრამ მიუხედავად ამისა იგი ყოველთვის შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს თავისივე საგანთან.[6]

კრიმინოლოგიის ძირითადი ამოცანაა მის საგანთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება და გაანალიზებაა, ასევე იმის განსაზღვრა თუ რა იწვევს დანაშაულს და ამის პრევენციის მიზნით

---

[1] Ивана Кушнира, „Криминология“. *Институт экономики и права* (2009), http://be5.biz/pravo/k041/2.html (23.06.2020).

[2] გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, „კრიმინოლოგი“, *სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი,* N 1(11 - 12) (2016 – 2017): 49. http://www.gruni.edu.ge/uploads/files/criminolog/criminal11(12).pdf (25.06.2020)

[3] Ивана Кушнира, „Криминология“. *Институт экономики и права* (2009), http://be5.biz/pravo/k041/1.html (23.06.2020).

[4] გ. ავანესოვი და სხვები, კრიმინოლოგია, (გამომცემლობა: იუნიტი-დანა, 2007), 270.

[5] გიორგი ღლონტი, რედ., *კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში,* (თბილისი: თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, 2008), 2.

[6] Ивана Кушнира, „Криминология“. *Институт экономики и права* (2009), http://be5.biz/pravo/k041/2.html (23.06.2020).

გამოყენება, კვლევების წარმოება, რომელიც სამართლის დარგს განვითარებაში დაეხმარება, ასევე სხვა დარგების გამოცდილების გაზიარება რომლებიც ასევე დანაშაულის თავიდან აცილების კუთხით მუშაობს.[7]

2.2. კავშირი სხვა მეცნიერებებთან

ვინაიდან კრიმინოლოგიის არსზეა საუბარი, ურიგო არ იქნება თუ მიმოხილული იქნება მისი და სხვა ახლოს მდგომი სამეცნიერო დარგებების მსგავსება და განსხვავება, რადგან ხშირ შემთხვევაში დანაშაულის გაანალიზებისა და აღმოფხვრის გზაზე კრიმინოლოგიის გარდა საჭირო ხდება სხვა სამეცნიერო სფეროდან ინფორმაციის გათვალისწინება, ასეთია მაგალითად ფსიქოლოგია და სოციოლოგია, რომელთა მეშვეობით ხორციელდება დანაშაულის გაანალიზების მნიშვნელოვანი ნაწილი. მაგალითად ადამიანის ხასიათის და ქმედებების შესწავლისთვის საჭიროა ფსიქოლოგიის ჩართვა, რადგან სწორედ ეს მეცნიერება შეისწავლის ამ საკითხს. შესაბამისად კრიმინოლოგია თავის არსში მოიაზრებს სხვა ახლო მდგომ მეცნიერების დარგებს, რომელთა ელემენტებს იგი არ შეისწავლის მაგრამ ამ ელემენტებთან კავშირში იმყოფება დანაშაული.[8]

კრიმინოლოგია და სხვა მეცნიერებები ერთმანეთში უნდა ცვლიდნენ რჩევებს რომელიც ამ დარგებს ეფექტურად ფუნქციონირებაში გამოადგებათ, მაგრამ ეს რჩევები არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ რომელიმე სფეროს ძირითად პრინციპებს.[9]

კრიმინოლოგია მჭიდრო კავშირშია ისეთ სამეცნიერო დარგებთან, როგორიცაა სოციოლოგია, რომელიც მოიცავს საზოგადოების განვითარების პრინციპებს და კანონზომიერებებს რომლებიც ხშირ შემთხვევაში გამოყენებულნი არიან დანაშაულებრივი თვალსაზრისით, ასევე ეკონომიკის დარგთან ვინაიდან უმეტესწილად დანაშაულის გამომწვევი მიზეზებს განაპირობებს ეს სფერო. ფსიქოლოგიასთან, რადგან ეს დარგი შეისწავლის ადამიანის ხასიათს, რაც უმნიშვნელოვანესია დანაშაულის განსაზღვრისას, ასევე მნიშვნელოვანი დარგია სტატისტიკა,

---

[7] Ивана Кушнира, „Криминология“. *Институт экономики и права* (2009), http://be5.biz/pravo/k041/4.html (23.06.2020).

[8] Ивана Кушнира, „Криминология“. *Институт экономики и права* (2009), http://be5.biz/pravo/k041/2.html (23.06.2020).

[9] Ивана Кушнира, „Криминология“. *Институт экономики и права* (2009), http://be5.biz/pravo/k041/2.html (23.06.2020).

რომელიც მოიცავს იმ მონაცემებს, რაზე დაყრდნობითაც კრიმინოლოგია ცდილობს დანაშაულის გაანალიზებასთან ერთად მის პრევენციას. ასევე რაც არ უნდა უცნაურად ჟღერდეს კრიმინოლოგიის დამხმარე მეცნიერებას წარმოადგენს განათლება, კონკრეტულად კი მასწავლებლის როლი, ვინაიდან ის მოიცავს ამღზრდელობით საკითხებს და ადამიანის ფსიქიკის ჩამოყალიბებაში გავლენას ახდენს მის კრიმინალისკენ მიდრეკილებაზე, აქედან გამომდინარე კრიმინოლოგია ამ დარგის დახმარებით და ეფექტური ზომების მიღებით ცდილობს შეამციროს პოტენციური დამნაშავეების რიცხვი.[10]

ასევე უნდა აღინიშნოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მნიშვნელოვანი ურთიერთობა იურიდიულ მეცნიერებასთან, განსაკუთრებით სისხლის სამართალთან, ვინაიდან ის მოიცავს დანაშაულის სისტემას, რომელსაც შეისწავლის კრიმინოლოგია, ამასთან ორივე სფეროს გააჩნია უმნიშვნელოვანესი ამოცანა ბრძოლა დანაშაულის ხელმეორედ ჩადენასთან. სისლხის სამართალში მოიაზრება ასევე საპროცესო მხარევ, ვინაიდან იგი შეისწავლის დანაშაულის გამოკვლევისთვის ისეთ საჭირო ქმედებებს როგორიცაა გამოძიების და დევნის ეტაპი, რომლის მეშვეობითაც დანაშაულის შესახებ ყველაზე მეტიინფორმაცია მოიპოვება. ამიტომაც ნებისმიერი დანაშაულის შესწავლისას თეორიულთან ერთად პროცესსაც დიდი მნიშვმელობა ენიჭება. აქედან გამომდინარე ხშირ შემთხვევაში კრიმინოლოგიას ინფორმაციის შეგროვება და მის საფუძველზე კვლევის წარმოება უხდება სისხლის სამართალისგან.[11]

კრიმინოლოგია ასევე თანამშრომლობს ადმინისტრაციულ სამართალის დარგთან, რაც განპირობებულია იმით, რომ იგი გამოირჩევა დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტური ღონიძიებების არსებობაში, რომლის საჭიროების შემთვევაში გამოყენება ხელს უწყობს დანაშაულის განმეორების თავიდან აცილებას. იგი კავშირშია ასევე სხვა მსგავს მეცნიერებებთან, რაც აიხსნება მათი საერთო პრინციპების არსებობით, ეს კი უმეტესად დანაშაულთან წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიხატება.[12]

---

[10] Ивана Кушнира, „Криминология“. *Институт экономики и права* (2009), http://be5.biz/pravo/k041/2.html (23.06.2020).

[11] Ивана Кушнира, „Криминология“. *Институт экономики и права* (2009), http://be5.biz/pravo/k041/2.html (23.06.2020).

[12] Ивана Кушнира, „Криминология“. *Институт экономики и права* (2009), http://be5.biz/pravo/k041/2.html (23.06.2020).

2.3. კრიმინოლოგიის საგანი და ობიექტი

კრიმინოლოგიის საგნის ძირითადი დანიშნულებაა გაანალიზოს დანაშაულის ძირითადი ელემენტები და ამის საფუძველზე მოახდინოს დანაშაულის თავიდან აცილება.[13] აუცილებელია, რომ კრიმინლოგიის საგანი ზუსტად იქნეს განსაზღვრული, რათა არ მოხდეს მისი გაზრდა ან შემცირება, რაც გამოიწვევს კრიმინოლოგიის შესახებ არასწორი ინფორმაციის გაჟღერებას. სწორედ ასე ხდებოდა წარსულში, სანამ მისი საბოლოო სახე შეიქმნებოდა მასში არაერთხელ განუხორციელებიათ ცვლილება.[14]

კრიმინოლოგიის საგანს წარმოადგენს დანაშაული თავის შემადგენელი ელემენტებით, რაშიც ძირითადად შედის მიზეზი, დამნაშავე და პრევენცია.[15] კრიმინოლოგიის ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს დამნაშავე ანუ ობიექტი, ვინაიდან ნებისმიერი ქმედება რომელსაც დამნაშავე ჩადის დაკავშირებულია მის ხასიათთან, აქედან გამომდინარე კრიმინოლოგიის როგორც საგანი ასევე ობიექტი ერთმანეთს ავსებს დანაშაულის აღმოფხვრის ეტაპზე, როდესაც ხდება დამნაშავის ფსიქოლოგიის შესწავლა.[16]

დანაშაულის განსაზღვრისას აუცილებელია დამნაშავის პიროვნების გამორჩევა საზოგადოების სხვა ნაწილისგან რისთვისაც არსებობს ორი შემთვევა, პირველი არის სოციალური ხოლო მეორე იურიდიული. სოციალური პირობის შემთვევის მიხედვით დამნაშავეს გააჩნია საზოგადოებისგან განსხვავებული შეხედულებები რომელიც ხშირ შემთვევაში წინააღმდეგობაში მოდის საზოგადოების ინტერესებთან ხოლო იურიდიული შემთხვევა გულისხმობს უბრალოდ დანაშაულის ჩადენის ფაქტის არსებობას, რის შედეგადაც იგი გახდა დამნაშავე. აღნიშნული მოსაზრება მოიცავს ნებისმიერი სახის დანაშაულს და იმ პიროვნებებს, რომელთაც ჩადენილი არ აქვთ რაიმე დანაშაული, მაგრამ თავიანთი შეხედულებებიდან გამომდინარე შეუძლიათ ეს გააკეთონ. ასევე ყურადღება უნდა მიექცეს მათ ხასიათს და თვისებებს, თუ რა არის მათი

---

[13] Ивана Кушнира, „Криминология“. *Институт экономики и права* (2009), http://be5.biz/pravo/k041/1.html (23.06.2020).

[14] ღლონტი, რედ., *კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში,* 3.

[15] Ивана Кушнира, „Криминология“. *Институт экономики и права* (2009), http://be5.biz/pravo/k041/1.html (23.06.2020).

[16] Ивана Кушнира, „Криминология“. *Институт экономики и права* (2009), http://be5.biz/pravo/k041/1.html (23.06.2020).

ძირითადი ინტერესი, დანაშაულის გაანალიზების ეტაპზე გამოიკვეთა, რომ დანაშაულისკენ მიდრეკილი ინდივიდის ძირითადი მისწრაფება არის მატერიალური უზრუნველყოფა.[17]

დამნაშავეთა დაყოფა ხდება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, მაგრამ ყველაზე გამოყენებადი არის მათი ასაკის და სქესის მიხედვით დაყოფა, ასევე განათლების, სამსახურის და საცხოვრებლის მიხედვით ასევე მნიშვნელოვანი ინფორმაციაა იმყოფებოდა თუ არა იგი ალკოჰოლის ან რაიმე სხვა ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ, იყო თუ არა აქამდე ნასამართლევი და რა განზრახვით ჩაიდინა დანაშაული. ასევე განასხვავებენ დანაშაულისკენ მიდრეკილი ადამიანების ქვეტიპებს ესენია თანმიმდევრულად კრიმინალური ინდივიდი, რომელიც ყალიბდება ისეთ პირობებში სადაც კანონის დარღვევა არის ყოველდღიურობა და ახასიათებთ ანტისაზოგადოებრივი ინტერესები, როგორც წესი ასეთი პირების მიერ ხშირია კანონის დარღვევა. სიტუაციურად კრიმინალურის შემთხვევაში პირი ხასიათდება ზნეობრივი წესების არარსებობით, ინდივიდი იმყოფება ისეთ გარემოში, რომელიც ხელს უწყობს კრიმინალისკენ მისწრაფების გამძაფრებას და ბოლოს სიტუაციურის შემთხვევაში ინდივიდს ხშირად ახასიათებს ამორალური ქცევა რაც ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს შესაბამისად იგი ხშირად არის კომფლიქტური სიტუაციაში, რაც დანაშაულის შესაძლო წინაპირობაა.[18]

აქედან გამომდინარე კრიმინოლოგიის საგანი და ობიექტი მოიცავს დანაშაულის გაანალიზებას რაც გულისხმობს დანაშაულის ჩადენის საფუძვლების გამოაშკარავებას, ობიექტის მახასიათებლების გაანალიზებას და სასიკეთო, ეფექტური რეფორმების ჩამოყალიბებას, რომელიც კრიმინალთან ბრძოლაში იქნება გამოყენებული.[19]

2.4. კვლევის მეთოდები

იქიდან გამომდინარე რომ კრიმინოლოგია საუკუნეების მანძილზე ვითარდებოდა და ეს გრძედება დღემდე მის მიერ შეგროვებული ინფორმაცია დროთა განმავლობაში განიცდიდა

---

[17] Ивана Кушнира, „Криминология“. *Институт экономики и права* (2009), http://be5.biz/pravo/k041/8.html (23.06.2020).

[18] Ивана Кушнира, „Криминология“. *Институт экономики и права* (2009), http://be5.biz/pravo/k041/8.html (23.06.2020).

[19] Ивана Кушнира, „Криминология“. *Институт экономики и права* (2009), http://be5.biz/pravo/k041/1.html (23.06.2020).

ერთგვარ გამოცას პრაქტიკის თვალსაზრისით, რითაც მისი სანდოობა დასტურდებოდა, შესაბამისად მნიშვნელოვანია ინფორმაციის მოპოვების გზების სწორად შერჩევა და ამ პროცესის წარმართვა. იმისათვის რომ ეს პროცესი და მოპოვებული ინფორმაცია უტყუარი იყოს კრიმინოლოგია იყენებს მსგავს სამეცნიერო დარგებში არსებულ და გამოცდილ მეთოდებს, როგორიცაა დაკვირვება, როლის დროსაც მკვლევარი თავად არის ცართული პროცესში და აკვირდება თავისთვის მნიშვნელობის მქონე ქმედებას და აღწერს მის მახასიათებლებს. დაკვირვებისას შესაძლებელია მკვლევარი იყოს ასევე დაკვირვების ერთ ერთი ობიექტი, ეს პროცესი შეიძლება იყოს დახურული ანუ დასაკვირვებელ პირებს არ აქვთ დაკვირვებაზე ინფორმაცია და ღია პროცესი, რომლის დროსაც ისინი ინფორმირებულნი არიან, ასევე შეიძლება იყოს დაგეგმილი და დაუგეგმავი დაკვირვება, რაც გულისხმობს დამკვირვებლის მომზადების დონეს დაკვირვების პროცესისადმი.[20]

ერთ-ერთი გავრცელებული კვლევის მეთოდი არის გამოკითვა, რომელიც გულისხმობს ერთი ან რამდენიმე კითვის დასმას, მას შეიძლება ჰქონდეს როგორც წერილობითი ასევე ზეპირსიტყვიერი ფორმა, რომელიც მკვლევარის მიერ არის შედგენილი. ზეპირი გამოკითხვის დროს მკვლევარი ცდილობს წინასწარ მომზადებული გეგმის მეშვეობით გამოსაკითხი პირისგან მოიძიოს აუცილებელი მასალა რომელიც მისი კვლევისთვის მნიშვნელოვანია, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ზეპირი ფორმით ინფორმაციის მოძიება გაცილებით ხელსაყრელი მეთოდია მკვლევარისთვის, ვინაიდან მას შესაძლებლობა აქვს საჭიროების შემთხვევაში შეცვალოს კითხვების შინაარსი ან მათი რაოდენობა. იმისათვის რომ კვლევის პროცესი უფრო ნაყოფიერი იყოს საჭიროა მკვლევარს გარკვეული წარმოდგენა ჰქონდეს გამოსაკვლევი ობიექტის პიროვნულ მახასიათებლებზე რადგან უფრო უკეთ მოამზადოს კითხვარი და მიღებული ინფორმაცია გამოსადეგი იყოს.[21]

რაც შეეხება წერილობით ფორმას, ამ შემთვევაში მკვლევარს არ უწევს საკვლევ ობიექტთან ვიზიტი, მხოლოდ საკვლევ კითხვებს უგზავნის მას, შესაბამისად ამ მეთოდის გამოყენებისას მკვლევარი ზოგავს გარკვეულ რესურსებს, მაგრამ სამაგიეროდ მას არ აქვს საშუალება დააზუსტოს რომელიმე კითხვა ან შეცვალოს იგი, აქედან გამომდინარე აუცილებელია კითხვები საკვლევ

[20] მორის შალიკაშვილი, კრიმინოლოგია (თბილისი: მერიდიანი, 2011), 15-16.
[21] იქვე, 16-17.

თემასთან მჭიდრო კავშირში უნდა იყოს და უშუალო გასაგებ ენაზე ჩამოყალიბებული, რომ კითხვების გრამატიკული სირთულე უარყოფითად არ აისახოს კვლევის შედეგებზე.[22]

კრიმინოლოგიის ერთ-ერთი კვლევის მეთოდია ანალიზი, რომელიც გულისხმობს საკვლევ თემასთან დაკავშირებული მასალის შინაარსის ანალიზს, ხშირ შემთხვევაში მასალას წარმოადგენს ინდივიდების პირადი ინფორმაციის მატარებელი საბუთები, რომლებიც უმეტესად მათ მიერ არის დაწერილი ან მესამე პირის მიერ, მაგრამ სრულყოფილად ასახავს ინდივიდის შესახებ ინფორმაციას, ეს მეთოდი ხელს უწყობს ინდივიდის ხასიათის შესახებ ინფორმაციის მარტივად მოძიებას. ასევე მნიშვნელოვან კვლევის მეთოდს წარმოადგენს ექსპერიმენტი, რომლის საშუალებითაც დგინდება თუ რამდენად კავშირშია ერთი შემთხვევა მოერესთან, ამისათვის აუცილებელია სწორად იქნეს შერჩეული გარემო და ობიექტი, მკვლევარმა ყურადღებით უნდა წარმართოს პროცესი და შემდგომ გაანალიზოს ექსპერიმენტის შედეგად მის ხელთ არსებული ინფორმაცია.[23]

რაც შეეხება კრიმინოლოგიის თეორიებს, მათი საშუალებით ხდება დანაშაულის შესახებ ინფორმაციის თავმოყრა და გაანალიზება, ძირითადად ეს ეხება მის გამომწვევ მიზეზებს და მონაწილეებს. კრიმინოლოგიაში არსებობს რამდენიმე თეორია, რომლებიც განსხვავებულად უდგებიან ინფორმაციის მოძიებას და გაანალიზებას, მაგალითად ბიოლოგიური თეორიის მიხედვით ინდივიდის დამნაშავეობისკენ სწრაფვა დამოკიდებულია როგორც გენეტიკაზე ანუ მისი განვითარების დონეზე, ასევე იმაზე თუ როგორ გარემოში უხდება მას ცხოვრება, ვინაიდან ხშირ შემთვევაში იმას თუ როგორ ადამიანებთან უწევს ინდივიდს კონტაქტი განაპირობებს დანაშაულის ჩადენას.[24]

ასევე არსებობს ფსიქოლოგიური თეორია, რომლის მიხედვითაც ადამიანის დანაშაულისკენ სწრაფვის მიზეზი ღრმა ბავშვობაში იმალება, რადგან ადამიანის ფსიქიკის ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია აღზრდას და იმას თუ როგორ გარემოში, უხდება მას ბავშვობის გატარება, მნიშვნელოვანია ოჯახის წევრების დამოკიდებულება ბავშვის სურვილებისადმი, რადგან მისი უგულებელყოფა გამოიწვევს ბავშვის როგორც ინდივიდის ფსიქიკის არასწორად ჩამოყალიბებას, რაც შეიძლება გამოიხატოს მის გადამეტებულ კომპლექსებში, ეს კი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე გარკვეული პრობლემების წინაშე დააყენებს მას, ასევე ამ თეორიის მიხედვით

[22] იქვე, 17-18.
[23] იქვე, 20-21.
[24] იქვე, 35.

ადამიანი თავის კომპლექსებიდან და განუვითარებლობიდან გამომდინარე ხშირ შემთვევაში ცხოვრებაში ვერ აღწევს სასურველ მიზანს, რის გამოც მას ქვეცნობიერში დაგროვილ უარყოფით ენერგია გადააქვს სხვა ადამიანებზე, რომლებმაც თავიანთთვის მოსახერხებელი გზით ადვილად მიაღწიეს იგივე მიზანს, ასეთი ადამიანები ხშირ შემთვევაში საზოგადოების მხრიდან მომეტებული აგრესიის მსხვერპლნი არიან და განიკითავენ იმის გამო, რომ მათ გარკვეული მიზეზების გამო იგივე სურვილის ასრულება ვერ შეძლეს.[25]

რაც შეეხება სოციოლოგიურ თეორიებს, მათი მიხედვით ადამიანის დანაშაულისკენ სწრაფვა შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებმა, კერძოდ კი იმან, რომ განელებულია კულტურის მოთხოვნები და წესები, რომლის მიხედვითაც საზოგადოების თითოეული წევრი იმოქმედებს, ეს ხშირ შემთხვევაში განპირობებულია ქვეყანაში არსებული სხვადასხვა სოციალური პრობლემით და სახელმწიფოს მხრიდან არაეფექტური ჩარევით როგორც სამართლებრივი ასევე სოციალური თვალსაზრისითაც, შესაბამისად როდესაც საზოგადოებას არ აკავშირებს საერთო კულტურული ნორმები ინდივიდი საზოგადოების სრულყოფილ წევრად არ გრძნობს თავს და იგი იწყებს საკუთარი სურვილისამებრ მოქმედებას, რაც შესაძლებელია არაკანონიერ ქმედებებს შეიცავდეს.[26]

[25] იქვე, 37-38.
[26] იქვე, 42-43.

თავი III.დანაშაული

3.1. ისტორიული მიმოხილვა

დანაშაულობა და მისი განსაზღვრის პრინციპები იმ სახეს მიმსგავსებული როგორიც დღეს არსებობს ფეხს იკიდებს მე-19 საუკუნიდან სოციალური სახელმწიფოს პირობებში.[27] მანამდე კი იმ მმართველობის პერიოდებში როდესაც სახელმწიფო უხეშად ერეოდა კერძო პირის უფლებებში და განსაკუთრებით საკუთრებაში იმ მიზნით, რომ ეს საჭირო იყო საზოგადოების უსაფრთხოებისთვის არ არსებობდა დანაშაულის ცნება და დანაშაულის ჩადენის საფუძვლები კონკრეტული პირების დონემდე განიხილებოდა, ეს ყოველივე კი ხელს უშლიდა სამართლის კერძოდ კი სისხლის სმართლის განვითარებას.[28]

ხოლო იმ პერიოდისთვის, როდესაც კერძო საკუთრება ნელ-ნელა ინდივიდის მფლობელობაში გადადიოდა დანაშაულობის შეფასებამ განვითარება დაიწყო, თუ მანამდე დამნაშავის მიმართ უმკაცრესი ზომები კერძოდ კი სიკვდილით დასჯა მიიღბოდა იმ მიზნით რომ მას დანაშაული ვეღარ ჩაედინა და ხალხისთვის მაგალითი ყოფილიყო, ამ პერიოდიდან დაიწყო იმის განხილვა, რომ სასჯელი დანაშაულის შესაბამისი ყოფილიყო და ამაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი, რაც გამოიხატებოდა თავიანთ ნაწარმოებებში ამ შეხედულების გაჟღერებით.[29] აქედან გამომდინარე ზოგადად სამართლის ამ დარგის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვნით იმ დროინდელ კლასიკურ ფილოსოფოსებს.[30]

მე-20 საუკუნის ბოლოდან პროგრესირებს მიდგომა რომლის მიხედვითაც დამნაშავეთა მიმართ კონკრეტულად მათთვის საჭირო ღონიძიებები უნდა გატარებულიყო რათა ისინი მათი შეხედულებების შეცვლით უსაფრთხო გამხდარიყვნენ საზოგადოებისთვის. შედეგად კი სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად შემოღებულ იქნა მიდგომები რომლებიც მოიცავდა სხვადასხვა სამედიცინო ჩარევებს.[31]

რაც შეეხება დანაშაულის ჩადენის საფუძვლებს, ამის შესახებ მოსაზრებები მრავალფეროვანია, მე-19 საუკუნეში ფირობდნენ, რომ ინდივიდი რომელსაც არ გააჩნია სამსახური,

---

[27] ღლონტი, რედ., *კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში,* 7.
[28] იქვე, 3-4.
[29] იქვე, 6.
[30] იქვე, 7.
[31] იქვე, 10.

არ ყავს ნათესავები და კარგი ნაცნობები არიან დანაშაულის ჩადენის მაღალი რისკის მატარებელნი რათა პირადი ქონებრივი მდგომარეობა უკეთესობისკენ შეცვალონ, ეს მიდგომა ავრცობდა დანაშაულის განსაზღვრას, რადგან მათ რიცხვს დაემატა ისეთი ქმედებები, რომელიც რეალურად არ იყო დანაშაული, მაგრამ დიდი ალბათობით წარმოადგენდა მის წინაპირობას,[32] თუმცა აღნიშნული იდეის მომხრენი ვერ ამტკიცებდნენ მის სარწმუნოობას, რაც დაბრკოლებას წარმოადგენდა იმ დროინდელ დანაშაულის განსაზღვრის განვითარების ეტაპზე.[33]

3.2. ძირითადი მახასიათებლები

დანაშაული არის ინდივიდისა და გარემო პირობების ერთმანეთზე ზეგავლენის შედეგი, რომელიც არსებობს ორი ტიპის, სიტუაციური დანაშაული და მდგრადი დანაშაული, პირველის შემთვევაში დანაშაული არის უფრო მძიმე ვიდრე სხვა შემთხვევაში და გამოწვეულია გარემო პირობების ზეგავლენით, ხოლო მეორე შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის საფუძველია ინდივიდის ხასიათი და ბუნება.[34]

დანაშაულს ასევე ახასიათებს ორგანიზებულობა, რომელიც გულისხმობს დიდი ჯგუფის მიერ მათი განსახორციელებელი ქმედებისთვის იმ პირობების შექმნას, რომელიც გაუადვილებთ მათ დანაშაულის ჩადენას. როგორც წესი დანაშაულს ახასიათებს კანონთან დაქვემდებარება, რაც გულისხმობს იმას, რომ ყველა დანაშაულს აქვს შესაბამისი კანონით განსაზღვრული წესი რომლითაც იგი ისჯება.[35]

დანაშაულის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა თუ რომელ კატეგორიას ეკუთვნის იგი, ძირითადად ისინი განსხვავდებიან დანაშაულის ობიქტით ანუ ვის მიმართ არის მიმართული იგი, ფორმით ანუ რამდენად გაცნობიერებული ჰქონდა დამნაშავეს მისი ქმედების შედეგები,

---

[32] ღლონტი, რედ., *კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში,* 10.
[33] იქვე, 11.
[34] Ивана Кушнира, „Криминология“. *Институт экономики и права* (2009), http://be5.biz/pravo/k041/1.html (23.06.2020).
[35] Ивана Кушнира, „Криминология“. *Институт экономики и права* (2009), http://be5.biz/pravo/k041/1.html (23.06.2020).

სუბიექტის ტიპის ანუ რომელ სოციალურ ჯგუფს მიეკუთვნება დამნაშავე ასევე რომელ რეგიონსა და სფეროშია ჩადენილი.[36]

დანაშაულის შესწავლისას ყურადღება ექცევა მის სოციალურ და შინაგან ფაქტორებს, პირველის შემთხვევაში იგულისხმება სოციალური გარემო , მათი შეხედულებები და ტერიტორიის სიფართოვე, ხოლო მეორეს შემთხვევაში სტაბილურობას რაშიც იგულისხმება დანაშაულის რეციდივი და ორგანიზებულობას, ამ ფაქტორების გაანალიზება და გათვალისწინება ხელს უწყობს დანაშაულის პრევენციას, ვინაიდან არსებობს ზოგადი ინფორმაცია საზოგადოების გარკვეული ნაწილის შესახებ და იმის შესახებ თუ რამდენად მოსალონდელია ამ წრეში დანაშაულის ჩადენა ან განმეორება, ხოლო ამ ყველაფრის ანალიზით და შესაბამისი ზომების მიღებით შესაძლებელია დანაშაულის თავიდან აცილება ან ადრეულ სტადიაზე აღმოფხვრა.[37]

დანაშაულის კონტროლისათვის საჭირო და დამახასიათებელია როგორც ქმედების ასევე დამნაშავეების აღწერა და ამის საშუალებით შესაძლო დანაშაულის რიცხვის გამოანგარიშება. ასევე არსებობს დანაშაულის დინამიკა რომელიც ძირითადად იანგარიშება ახლანდელი და გასული წლის ინფორმაციის შედარება, რითაც ვიგებთ თუ რამდენად და როგორ შეიცვალა დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელი.[38]

საქართველოს სისხლის სამართალში დანაშაულის განსაზღვრისას და შეფასებისას თავდაპირველად ხდება ქმედების აღრიცხვა შემდგომ კი ყურადღება გამახვილებულია პირის ხასიათისა და იმ გარემოებებზე, რომელიც დანაშაულის შეფასებისთვის მნიშვნელობის მატარებელია. რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს აქ ძირითადად შეფასებისას ყურადღება ექცევა იმ პიობათა ერთობლიობას რომელიც დანაშაულს წინ უძღოდა.[39]

რაც შეეხება რუსეთს იქ არსებული სისხლის სამართლის კანონი გულისხმობს ყველა დამნაშავის მიმართ განსაკუთრებულ მიდგომას, მაგრამ რეალურად თავდაპირველი შეფასებისას ზემოაღნიშნულს ყურადღება ნაკლებად ექცევა და ის გამოძიების შემდგომ ეტაპებზე განიხილება. სწორედ ეს მრავალფეროვანი შეფასების სქემა ქმნის დანაშაულის სისტემას.[40]

---

[36] Ивана Кушнира, „Криминология“. *Институт экономики и права* (2009), http://be5.biz/pravo/k041/1.html (23.06.2020).

[37] Ивана Кушнира, „Криминология“. *Институт экономики и права* (2009), http://be5.biz/pravo/k041/1.html (23.06.2020).

[38] Ивана Кушнира, „Криминология“. *Институт экономики и права* (2009), http://be5.biz/pravo/k041/4.html (23.06.2020).

[39] ღლონტი, რედ., *კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში,* 2.

[40] იქვე.

3.3. დანაშაულის მიზეზების ზოგადი დახასიათება

დანაშაულის გამომწვევი მიზეზები შეიძლება უამრავი იყოს, მაგრამ ძირითადად საგანსა და მოვლენათა ურთიერთქმედება. იგი არის ისეთი უარყოფითი პირობების შედეგი როგორიცაა ეკონომიკური, ფსიქოლოგიური, დემოგრაფიული და სხვა პრობლემები. რათქმაუნდა ეს მოვლენები არ განაპირობებს დანაშაულს, მაგრამ გარკვეულწილად ზემოქმედებს მიზეზზე და მოაქვს შედეგი, რომელსაც წარმოადგენს დანაშაული.[41]

დანაშაულის მიზეზს გააჩნია თავისი თვისებები, მაგალითად ქმედების განხორციელებისთვის საჭიროა აუცილებელი პირობები, რომელიც მას ხელს შეუწყობს მაგრამ მხოლოდ ამ პირობების შექმნას არ მოსდევს შედეგი, იმისათვის რომ დანაშაული იყოს სახეზე აუცილებელია ქმედების განხორციელება რომელსაც გარანტირებულად მოჰყვება შედეგი, აქედან გამომდინარე მიზეზი შედეგის წინაპირობაა.[42]

კრიმინოლოგიაში როდესაც ხდება დანაშაულის შესწავლა აუცილებელია მისი მიზეზების გაანალიზება, რადგან იგი ხელს უწყობს დანაშაულის ხასიათის განსაზღვრას, ასევე იმას, თუ რა მოვლენები განაპირობებს მის წარმოშობას და რეალიზებას, ამის გაანალიზება აუცილებელი და სასიკეთოა დანაშაულის პრევენციისთვის.[43]

დანაშაულის გამომწვევ მიზეზს აქვს ორი განმსაზღვრელი ფაქტორი სუბიექტური და ობიექტური, პირველის შემთევავში ეს შეიძლება იყოს ადათი, წეს-ჩვეულება და სხვა გარემო ფაქტორები, ხოლო მეორის შემთხვევაში მოიაზრება პიროვნების შინაგანი სამყარო. დანაშაულის მიზეზი იყოფა ასევე დროებითად ანუ მისი ჩამოყალიბება მოხდა მოკლე დროის მანძილზე და მუდმივ მიზეზად ანუ ის გრძელდება ხანრგძლივი პერიოდის განმავლობაში.[44]

კრიმინოლოგია ასევე იცნობს ტერმინს ქცევის მოტივაცია რომელიც დანაშაულს უსწრებს წინ. იგი ყალიბდება ადამიანის ფსიქიკაში, როდესაც პიროვნებას სურვილი აქვს გარკვეული დანაკლისი შეივსოს იგი იწყებს ამაზე მუდმივ ფიქრს რაც ააქტიურებს ნერვულ სისტემას შედეგად კი ინდივიდი ახდენს მისი სურვილის ნებისმიერი ქმედებით დაკმაყოფილებას, აქედან

---

[41] Ивана Кушнира, „Криминология“. *Институт экономики и права* (2009), http://be5.biz/pravo/k041/1.html (23.06.2020).

[42] Ивана Кушнира, „Криминология“. *Институт экономики и права* (2009), http://be5.biz/pravo/k041/6.html (23.06.2020).

[43] Ивана Кушнира, „Криминология“. *Институт экономики и права* (2009), http://be5.biz/pravo/k041/6.html (23.06.2020).

[44] Ивана Кушнира, „Криминология“. *Институт экономики и права* (2009), http://be5.biz/pravo/k041/6.html (23.06.2020).

გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მოტივაციას განაპირობებს ადამიანის სურვილები, ხოლო მოტივაცია განსაზღვრავს ადამიანის ქცევას.[45]

თავად მოტივაციის არსებობას შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე პირობა, ესენია დამოკიდებულება, რა დროსაც გონებამ უკვე იცის თუ როგორ მოიქცეს, ვინაიდან მას ადრე ეს უკვე განხორციელებული აქვს. ასევე სურვილი და მისწრაფება არის ის მდგომარეობა, როდესაც გონება ორიენტირებულია ერთ მოთხოვნაზე რაც ასევე ქმედების განხორციელებას უწყობს ხელს. ასევე ინტერესი, რომელიც გულისხმობს კონკრეტული საგნის ან მოლენის მიმართ განსაკუთრებულ მიდრეკილებას, იგი უკავშირდება ადამიანის სურვილებს, შედეგად გონება ახალისებს ინდივიდს განახორციელოს გარკვეული ქმედება.[46]

3.4. დანაშაულის მიზეზები ქართულ კანონმდებლობაში

დანაშაულის მიზეზების მოძიება და აღმოფხვრა ქართული სისხლის სამართლისთვის ძირითადი გამოწვევაა, ვინაიდან იგი მუდმივად მოუგვარებელ პრობლემად რჩებოდა, რომელიც საზოგადოების განვითარებასთან ერთდ, უფრო აქტუალური ხდება, რადგან მისი შესწავლა დანაშაულის პრევენციისათვის აუცილებელია. ამისათვის საჭიროა ზოგადად დანაშაულის ძირითადი მახასიათებლების ცოდნა, რომლის შესახებაც წინა თავებში იყო საუბარი, მაგრამ ასევე მხედველობაშია მისაღები, ის რომ დანაშაულის მიზეზი დროსთან ერთად მუდმივ ცვლილებას განიცდის, შესაბამისად მისი განსაზღვრა მუდმივ ხასიათს უნდა ატარებდეს.[47]

ქართულ სამართალში დანაშაულის მიზეზების განხილვისას ყურადრება ენიჭება ისეთი ტერმინების განხილვას როგორიცაა პირობა, მიზეზი, ფაქტი და გარემოება, რომელთაც როგორც მსგავსი ასევე განსხვავებული მახასიათებლები აქვთ, მაგრამ ყველა მათგანი გამოიყენება დანაშაულის დახასიათებისას. მიზეზი და პირობა ერთმანეთის მსგავსი ცნებებია, ვინაიდან ხშირია შემხთხვევები როდესაც პირობას მიზეზის სახელი ენიჭება ან პირიქით. არის შემთხვევები როდესაც გარკვეული სახის პირობის არსებობა ახალისებს დანაშაულის ჩადენას, სწორედ ამ

[45] Ивана Кушнира, „Криминология“. *Институт экономики и права* (2009), http://be5.biz/pravo/k041/7.html (23.06.2020).

[46] Ивана Кушнира, „Криминология“. *Институт экономики и права* (2009), http://be5.biz/pravo/k041/7.html (23.06.2020).

[47] გ. ავანესოვი და სხვები, კრიმინოლოგია, (გამომცემლობა: იუნიტი-დანა, 2007), 255-256.

შემთვევაში ხდება პირობა მიზეზი, ხოლო როდესაც მიზეზიც და პირობაც ერთად ყალიბდება, იქმნება დანაშაულის მთავარი მიზეზი.[48]

ქართულ სისხლის სამართალში არსებობს პირობის რამდენიმე სახე თანმხლები პირობა, სახეზეა მაშინ როდესაც ის დანაშაულის გარშემო ზოგად სიტუაციას ქმნის, საკმარის პირობას უწოდებენ საჭირო რამდენიმე პირობის ერთად არსებობას და აუცილებელ პირობაში იგულისხმება რომ შემთხვევა ამ პირობისგან დამოუკიდებლად არ იარსებებდა. რაც შეეხება ფაქტორებს იგი შექმნილია სწორედ დანაშაულის პირობის და მიზეზისგან, რაც გულისხმობს, რომ ამა თუ იმ შემთხვევის არსებობას მნიშვნელობა აქვს პროცესის განვითარებისთვის, დანაშაულის აღწერისას სწორედ ასეთ შემთხვევას უწოდებენ ფაქტს. იგი არსებობს ორი სახის, კრიმინოგენური, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ეხმარება დანაშაულს ჩამოყალიბებაში, ხოლო ანტიკრიმინოგენური პირიქით დანაშაულის თავიდან აცილებას ახალისებს.[49]

დანაშაულის აღწერისას ასევე გამოიყენება სიტყვა გარემოება, რომელიც მოიცავს კონკრეტულ მოვლენას, რომელიც უკავშირდება ინდივიდის ქმედებას. გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის მსვლელობისას, ვინაიდან პიროვნებაზეა დაოკიდებული ესა თუ ის გარემოება მის მიერ როგორ იქნება აღქმული, ანუ დანაშაულის ჩადენისთვის გამოიყენებს თუ არა.[50]

კრიმინოლოგია ასევე შეისწავლის საზოგადოების მიდგომას დანაშაულის მიმართ, კონკრეტულად კი იმ წინააღმდეგობებს რომლებიც ყალიბდება საზოგადოების წევრების ურთიერთობებში. ხშირ შემთვევაში კი ეს წინააღმდეგობანი წარმოშობს ისეთ მიზეზს და პირობას, რომელსაც შედეგად მოსდევს დანაშაულებრივი ქმედება, ამიტომ დანაშაული თავის ხრივ წარმოადგენს ინდივიდის მიერ პრობლემის გადმოცემა კანონისთვის მიუღებელი საშუალებით.[51] შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულის მიზეზებსაც აქვთ თავისი მიზეზი ანუ წყარო, რომელიც ადამიანის ხასიათში იმალება, როგორც წესი მორალის წესების დარღვევა იწვევს ინდივიდში ქცევას, რომელიც წარმოშობს დანაშაულს.[52]

დანაშაულის მიზეზები იყოფა ორ სახედ, სოციალურ და ბიოლოგიურ მიზეზებად, რომლებშიც თავის მხრივ რამდენიმე სახის მიზეზი შედის. სოციალურში შედის პირველი კლასის მიზეზი, რომელიც საზოგადოებაში არსებული პრობლემების საფუძველზე ყალიბდება,

---

[48] ავანესოვი, კრიმინოლოგია, 259-260.
[49] იქვე, 260-261.
[50] იქვე, 262-263.
[51] იქვე, 267-269.
[52] იქვე, 272.

შესაბამისად ასეთ გარემოში შესაძლებელია დანაშაულის დონის მატება, შედეგად კი ეს პროცესი საზოგადოების წევრი ინდივიდების ანტისაზოგადოებრივად ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ასეთი სახის მიზეზი ხშირ შემთხვევაში საყოველთაო მოვლენების უკან იმალება და ამ პრობლემის მოგვარება სახელმწიფოს შეუძლია მოსახლეობასთან ურთიერთქმედებით.[53]

რაც შეეხება მეორე კლასის მიზეზებს, ამ შემთხვევაში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ფსიქოლოგიურ ფაქტორებზე, როგორც წესი ადამიანი თავის შეხედულებებს სხვადასხვა მოვლენების მიმართ იცვლის და ავითარებს ურთიერთობასთან ერთად, რაც ბუნებრივი მოვლენაა, ხოლო არის შემთხვევები, როდესაც საზოგადოების გარკვეული ნაწილი თავის შეხედულებებს არ იცვლის ან მას უარყოფითისკენ ცვლის, ასეთ ადამიანებს ყველაფერზე საკუთარი შეხედულება აქვთ, რომელიც მხოლოდ მათ შიგანაგ გრძნობებს ეყრდნობა და ხშირ შემთხვევაში არასწორია, სწორედ ეს მიდგომა უწყობს ხელს დანაშაულის ჩადენისკენ სწრაფვას.[54]

არსებობს ასევე მესამე კლასის მიზეზი, რომლის მიხედვითაც აზრი არ აქვს მთლიან საზოგადოებაზე დაკვირვებას, იმის გასაგებად თუ რაში მდგომარეობს დანაშაულის მიზეზი, ამისათვის აუცილებელია ზოგადად ფაქტორების გაანალიზება რომელმაც გამოიწვია დანაშაულის ჩადენა და ამისათვის ყველაზე ეფექტურია ცალკეული ინდივიდის, დამნაშავის ფსიქოლოგიის შესწავლა, თუ რამ უბიძგა მას ამა თუ იმ ქმედების ჩადენისკენ.[55]

დანაშაულის გაანალიზებისა და მისი პრევენციის პროცესში დიდი მნიშვნელობააქ იმის გააზრებას რომ ადამიანის ნებისმიერ ქმედებას აქვს თვის მიზეზი, კანონიერია ეს ქმედება თუ უკანონო, ამიტომ იმისათვის, რომ ამ დანაშაულთან ბრძოლა გაადვილდეს აუცილებელია მიზეზი პიროვნების ფსიქიკის გარდა სხვა გარემო პირობებშიც მოიძებნოს, მიუხედავად იმისა, რომ გარე გამოვლინებები შესაძლოა უმნიშვნელო ან შეუმჩნეველი იყოს.[56]

ფაქტორების უმნიშვნელო დონე დროთა განმავლობაში ხდება იმის მიზეზი, რომ ინდივიდს ანტისაზოგადოებრივი შეხედულებები ჩამოუყალიბდეს და მისი გამოვლენა თავისდაუნებურად დანაშაულებრივი გზით განახორციელოს, ვინაიდან ის ფაქტორები, რომლებიც კარგ ნიადაგს ქმნიან დანაშაულისთვის ასევე მნიშვნელოვნას მოქმედებენ ადამიანის ფსიქიკაზე. შესაბამისად ის ადამიანი ასეთ სიტუაციაში დაადგება თუ არა დანაშაულებრივ გზას დამოკიდებულია მისი ფსიქიკის ძლიერებაზე, ვინაიდან ხშირ შემთვევაში გარემო ფაქტორების გავლენა ადამიანის სუსტი

[53] იქვე, 275-276.
[54] იქვე, 276-277.
[55] იქვე, 279.
[56] იქვე.

ფსიქოლოგიის გამო იმდენად დიდია, რომ იგი თავს ვერ აღწევს უარყოფით ფიქრებს და გავლენას, შედეგად კი ის მიდის დანაშაულის ჩადენამდე.[57]

ასევე დანაშაულის ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს მემკვიდრეობა, რაშიც ძირითადად მოიაზრება საზოგადოების ტრადიციები, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა აღზრდის მეთოდით, სასარგებლო შეხედულებებთან ერთად კულტურაში ინერგება ისეთი შეხედულებები, რომლებიც საზოგადოების განვითარების დონეს საგრძნობლად აფერხებს და ასევე ყველაზე ცუდი რაც არის განაპირობებს დანაშაულობას, მაგალითად ასეთი მიდგომის დამსახურებაა ოჯახში ძალადობის ფონის ძიმძლავრე, რომელიც დამახინჯებული შეხედულებების შედეგია და მისი გამოსწორება დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს.[58]

[57] იქვე, 280-282.
[58] იქვე, 284-285.

თავი IV. დანაშაულის პრევენცია

4.1. პრევენციის არსი და მიზანი

კრიმინოლოგიის ძირითადი არსი და მოწოდება არის შესაძლო დანაშაულის თავიდან აცილება ანუ პრევენცია, რაც წარმოადგებს სისხლის სამართლის უმნიშვნელოვანეს ნაწილს,[59] ამიტომაც იგი შეისწავლის დანაშაულის პრევენციასაც. აღნიშნული ნაშრომის ყოველი ზემოაღნიშნული საკითხის გაანალიზება საჭიროა დანაშაულის პრევენციის არსის უკეთ გასააზრებლად, რომლის მიზანია დანაშაულის შესწავლის გზით წინაპირობების გამოააშკარვება და აღკვეთა.[60]

არსებობს პრევენციის ზოგადი და სპეციალური სახე, ზოგადი დანაშაულის პრევენცია გულისხმობს ზოგადად საზოგადოებრივი დონის და გარემოს უკეთესობისკენ შეცვლას, როგორც ეკონომიკური ასევე სოციალური თვალსაზრისით, რისი არარსებობაც იწვევს დანაშაულის მატებას, შესაბამისად მისი განვითარება გარკვეულწილად გამოიწვევს ზოგადი დანაშაულის პრევენციას, ამასთან მიღებული ზომები როგორც წესი გამოირჩევა მაშტაბურობით. რაც შეეხება სპეციალური დანაშაულის პრევენციას, ამ შემთხვევაში რეაგირება ხდება რომელიმე კონკრეტულ დანაშაულზე და პირზე, რომლის შესწავლის საფუძელზე მიიღება შესაბამისი ზომები დანაშაულის პრევენციისათვის, ამ შემთხვევაში ზომები ლოკალიზებულია კონკრეტული დანაშაულის ირგვლივ მისი ხასიათი ხასიათიდან გამომდინარე. შესაბამისად პრევენციის ზომები განსხვავდებიან იმის მიხედვით თუ რომელ სოციალურ ჯგუფზეა გათვლილი ისინი.[61]

პრევენციის საგანს წარმოადგენს როგორც თითოეული ადამიანი ასევე სახელმწიფო. დანაშაულთან ბრძოლისათვის პირველ რიგში აუცილებელია ორგანიზება და მასში შესაბამისი ორგანოების ჩართულობა, თავდაპირველად ხდება დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მოძიება და გაანალიზება, შემდგომ პრევენციის ხერხების განსაზღვრა და მისი პროგრამირება, რაშიც იგულისხმება არსებულ კანონში ცვლილებების შეტანა ან ახლის მიიღება. აუცილებელია პრევენციის ძირითადი პრინციპების მიმოხილვა, რომ შემუშავებული ზომების განხორციელება

---

[59] Ивана Кушнира, „Криминология“. *Институт экономики и права* (2009), http://be5.biz/pravo/k041/4.html (23.06.2020).

[60] Ивана Кушнира, „Криминология“. *Институт экономики и права* (2009), http://be5.biz/pravo/k041/9.html (23.06.2020).

[61] Ивана Кушнира, „Криминология“. *Институт экономики и права* (2009), http://be5.biz/pravo/k041/9.html (23.06.2020).

უნდა მოხდეს სამართლიანობის ფარგლებში, ისინი უნდა შეესაბამებოდნენ ქვეყნის უზენაეს კანონს კონსტიტუციას და საერთაშორისო სამართლას.

დანაშაულის პრევენციის სისტემა მოიცავს ორ ასპექტს, რომელთა მეშვეობითაც იგი ხორციელდება, ზოგადი მხარე მოიცავს პრევენციისათვის საჭირო გზების მოძებნას, მის დაგეგმას და განხორციელებას. ხოლო განსაკუთრებული მხარე გულისხმობს კონკრეტული დანაშაულის ხასიათის შესწავლა და იმის განსაზღვრა თუ როგორ უნდა მოხდეს მისი თავიდან აცილება.[62]

4.2. დანაშაულის პრევენცია ქართულ სისხლის სამართალში

ქართულ სისხლის სამართალში დანაშაულის პრევენციის სისტემა წარმოიშვა სახელმწიფოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ჩამოყალიბდა შესაბამისი ორგანოები რომლებიც აკონტროლებენ დანაშაულის პრევენციას, სწორედ ისინი წარმოადგენენ პრევენციის სუბიექტებს, აღნიშნული ორგანოები ცდილობენ ადამიანებს შორის უთანხმოება კანონის ფარგლებში მოგვარდეს და ამით თავიდან არიდებულ იქნას შესაძლო დანაშაული, შესაბამისად დაცული იქნება საზოგადოების თითოეული წევრის უფლებები.[63]

დანაშაულის პრევენციის სუბიექტებს წარმოადგენენ ასევე აღმზრდელობითი დაწესებულებები და ოჯახები, ვინაიდან მათ ყოველდღიური შეხება აქვთ ადამიანებთან, რომლებსაც შესაძლებელია ჯერ არ ჩამოყალიბებიათ ფსიქიკა და შესაბამისად განვითარების პროცესში გავლენა მოახდინონ მისი შეხედულებების ჩამოყალიბებაზე, თუ აღმზრდელობითი პროცესი მიმდინარეობს მორალური და ზნეობრივი წესების დაცვით, მაშინ ეს სუბიექტები ახორციელებენ დანაშაულის პრევენციას. აქედან გამომდინარე სახელმწიფო და საზოგადოება ჩართული უნდა იყოს ოჯახების კეთილდრეობის შექმნაში და სასწავლო დაწესებულებების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად მოწყობაში.[64]

როდესაც დანაშაულის პრევენციაზე არის საუბარი აუცილებელია დახასიათებული იყოს იმ ორგანოების როლი რომელებიც სამართალდამცავ სისტემას მიეკუთვნებიან. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს სასამართლოს რომლი, რომელიც უფლებამოსილებას ახორციელებს ქვეყნის უზენაესი კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე და რომელსაც ევალება არა მხოლოდ საქმის

[62] ღლონტი, რედ., *კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში,* 333.
[63] იქვე, 334.
[64] იქვე, 334-335.

გადაწყვეტა, არამედ გადაწყვეტილების მიღებამდე მოიძიოს ინფორმაცია მიზეზების შესახებ და მიიღოს შესაბამისი ზომები მის აღსაკვეთად. მიუხედავად ამისა უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოები პრევენციას ვერ ახორციელებენ ეფექტურად, რადგან ხშირ შემთხვევაში მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება ვერ ხერხდება, რადგან ეს მკაცრად არ კონტროლდება, ამასთან მიღებულ გადაწყვეტილებებში მიზეზების განხილვა და გაანალიზება არ ხდება და იგი მხოლოდ დამსჯელ ღონისძიების განხილვას მოიცავს, რაც დანაშაულის პრევენციას არ წარმოადგენს, მაგრამ მიუხედავად ამ პრობლემისა სასამართლო მაინც მონაწილეობს პრევენციის განხორციელებაში, ვინაიდან მას უხდება ისეთი საქმეების მოგვარება, რომელიც დანაშაულამდე ჯერ არ მისულა რაც დანაშაულის თავიდან აცილებისათვის მნიშვნელოვანია.[65]

ასევე დანაშაულის პრევენციის საქმეში მნიშვნელოვანი როლი აქვთ შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში „შსს“) ორგანოებს, რომლებიც უშუალო კონტაქტში არიან დანაშაულის სისტემასთან და ცდილობენ ადრეულ ეტაპზე აღმოფხვრან იგი. პროკურატურა და სამძებრო აპარატი ჩართულია როგორც სახეზე არსებული დანაშაულის გაანალიზებაში, ასევე გარკვეული დანაშაულების მიზეზების ძიებაში რომ ის ადრეულ ეტაპზე იქნეს აღკვეთილი, ამ პროცესს ძირითადად უძღვება გამომძიებელი, რომელიც აყალიბებს დანაშაულის გამომწვევ მიზეზებს და მასზე დაყრდნობით ხორციელდება შესაბამისი ზომები, რომელმაც უნდა გამოიწვიოს დანაშაულის აღკვეთა.[66]

დანაშაულის პრევენციისათვის აუცილებელია როგორც თეორიის ასევე პრაქტიკის მოშველიება, ვინაიდან დანაშაულის წარმოშობის მიზეზები და დამნაშავის ქცევის მახასიათებლებს შეისწავლის კრიმინოლოგია, ხოლო დანაშაულის აღმოფხვრისთვის კი მისი ფსიქოლოგიის ცოდნა აუცილებელია და ამის შემდგომ ხდება საჭირო ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, რომ პრევენციული ზომები ეფექტური იყოს.[67]

იქედან გამომდინარე, რომ დანაშაული ზოგადად არის რთული სისტემური ფენომენი, რომლის გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს სახელმწიფოს შიგნით არსებული სხვადასხვა უარყოფითი ფაქტორი, ამიტომ მის წინააღმდეგ ბრძოლაც რთულია. შესაბამისად უნდა შემუშავდეს ისეთი ღონისძიებები, რომელიც ქვეყნის შიგნით არსებულ კრიმინალურ გარემოს შეამცირებს. [68]

---

[65] იქვე, 335-336.
[66] იქვე.
[67] ავანესოვი, კრიმინოლოგია, 199.
[68] Ивана Кушнира, „Криминология“. *Институт экономики и права* (2009), http://be5.biz/pravo/k041/19.html (23.06.2020).

იმისათვის რომ დანაშაულის პრევენცია განხორციელდეს აუცილებელია, რომ შესაბამისი ზომების მიღებისას დაცული იყოს წესები რომელსაც ზოგადად კრიმინოლოგია მიუთითებს, ამაში იგულისხმება პრევენციის ობიექტის სწორი შერჩევა, ვინაიდან დანაშაულის აღკვეთის მთავარი მიზანი არა ცალკეული ინდივიდებისთვის სარგებლის მოტანა არამედ საყოველთაოდ საზოგადოებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნაა, რასაც ხელს უშლის დანაშაულობის სიმრავლე. შესაბამისად მიღებული ზომები მორგებული უნდა იყოს საზოგადოების ინტერესებზე.[69]

4.3.პრევენციის სახეები

დანაშაულის პრევენციას აქვს რამდენიმე სახე და ისინი გამოიყენება იმის მიხედვით, თუ რამდენად სერიოზული საფრთხის შემცველია დანაშაულის შესაძლო შედეგები. ერთ-ერთი არის პირველადი პრევენცია, რომლსაც აქვს ზოგადი ხასიათის და რის მიხედვითაც დანაშაულის თავიდან აცილებისათვის აუცილებელია ქვეყანაში სოციალური რეფორმების გატარება, ერთ-ერთი ძირითადი ზომა არის მაგალითად ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერება, რაც გამოიწვევს უფრო მეტი მოსახლეობის დასაქმებას და შესაბამისად ის ადამიანები, რომლებიც დანაშაულს სიღარიბის გამო ჩადიოდნენ დასაქმების შემთხვევაში უმეტესი ნაწილი შეიცვლის შეხედულებას და ამით დანაშაულის დონეც იკლებს, ასევე საჭიროა აღმზრდელობითი დაწესებულებების კონტროლი, რადგან კრიმინოლოგია მიიჩნევს, რომ დანაშაულის მიზეზები სწორედ ბავშვობის ასაკიდან იწყებს განვითარებას, იმ შემთხვევაში თუ ბავშვს არაჯანსაღ გარემოში უწევს ყოფნა, ასევე საფუძვლითვე მოითხოვს პირველადი პრევენცია ოჯახის სიტუაციის კონტროლს. შესაბამისად პრევენციის ამ სახეს აქვს ზოგადი ხასიათი, რომლის განხორციელებაც ხშირ შემთხვევაში შესაძლებლობებს მოკლებულია. [70]

ასევე არსებობს მეორედი პრევენცია, რომელიც გულისხმობს დანაშაულის ჩადენამდე ისეთი ზომების მიღებას, რაც გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის მის განხორციელებას, ასეთი ზომები შეიძლება იყოს შესაძლო მსხვერპლის ინფორმირებულობა, თვალთვალი და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ პრევენციის ეს სახე ეფექტურია, ძნელია მისი განხორციელება, რადგან დანაშაულთა უმეტეს შემთვევაში ვერ ხერხდება მისი ადრეულ სტადიაზე შემჩნევა, რადგან ამის გაკეთება, აუცილებლად დაარღვევს ინდივიდის გარკვეულ უფლებებს, რომელიც დაცულია

[69] ზაურ წულაია, კრიმინოლოგია (თბილისი: ინტელექტი, 2005), 149.
[70] შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, 220.

ქვეყნის უზენაესი კანონით. მაგრამ მიუხედავად ამ პრობლემისა პრევენციის ეს სახე მაინც ეფექტურია, რადგან ხორციელდება ისეთი ღონისძიებები, რომელიც დანაშაულის პრევენციას უწყობს ხელს.[71]

რაც შეეხება მესამედ პრევენციას ამ შემთხვევაში ზომების მიღება ხდება დანაშაულებრივი შედეგის დადგომის შემდეგ, რაც გამოიხატება მსჯავრდებულის წახალისებით, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ მან შეძლოს საზოგადოებაში სრულფასოვან წევრად დაბრუნება, რათა არ გაიმეოროს დანაშაულებრივი ქმედება. ასევე საჭიროა სასჯელის განსაზღვრისას მხედველობაში იქნეს მიღებული დამატებითი ღონისძიებების გატარება, რომელიც პიროვნების გამოსწორებისკენ იქნება მიმართული.[72]

[71] იქვე, 221-222.
[72] იქვე, 223.

თავი V. ცალკეული დანაშაულების დახასიათება და მათი პრევენცია

5.1. ორგანიზებული დანაშაული

ორგანიზებული დანაშაული თავისი შემადგენლობით მიეკუთვნება რთულ დანაშაულებრივ საქმიანობას, რომელსაც ახორციელებს ორგანიზებული ჯგუფი, რათა მიიღონ გარკვეული სარგებელი, რასაც ძირითადად ფინანსური სარგებელი წარმოადენს.[73] დანაშაულის პრევენციის ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს სწორედ ორგანიზებული დანაშაულის თავიდან აცილება, მიუხედავად იმისა, რომ მისი შესწავლა დიდი ხანია მიმდინარეობს, მაინც ვერ ხერხდება მისი სრულყოფილად გაანალიზება.[74] აღნიშნულმა დანაშაულმა თავი პირველად მე-19 საუკუნეში ამერიკის შეერთებულ შტატებში იჩინა, რასაც იმ დროინდელმა გარკვეული პროდუქტების ამკრძალავმა კანონმა მისცა საშუალება ფინანსური სარგებლის მსურველ გარკვეულ პირთა წრეებს განეხორციელებინათ ზემოაღნიშნული დანაშაულებრივი საქმიანობა, რამდენიმე ათეულ წელში მისი სტრუქტურა ისე განვითარდა რომ გასცდა ამერიკის საზღვრებს და პრობლემად იქცა თითქმის მთელი მსოფლიოსთვის.[75]

აღნიშნული დანაშაულის სირთულე გამოიხატება იმაშიც, რომ იგი აყალიბებს კარგ ნიადაგს სხვა ეკონომიკური დანაშაულების ჩასადენად, ასევე მისი სტრუქტურა სულ ვითარდება შესაბამისად რთულია მისი შესწავლა. ამ დანაშაულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი არის მისი მისწრაფება განაგოს ყველაფერი, ამიტომ ხშირად ორგანიზებული დანაშაული ფეხს იკიდებს სახელმწიფო ორგანოების მართვაში რაც განსაკუთრებით საშიშია, რადგან შემაფერხებელ გარემოებას წარმოადგენს დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარებისთვის.[76]

ორგანიზებული დანაშაულის ძირითადი დამახასიათებლებს მიეკუთვნება მათი ჯგუფურობა, ხოლო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის მიხედვით

> „„დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფი“ ნიშნავს ერთი ან რამდენიმე მძიმე დანაშაულის ან ამ კონვენციის შესაბამისად ასეთად მიჩნეული დანაშაულის ჩადენის მიზნით დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებულ და შეთანხმებულად მოქმედი სტრუქტურული

---

[73] Ивана Кушнира, „Криминология“. *Институт экономики и права* (2009), http://be5.biz/pravo/k041/16.html (04.07.2020).

[74] გიორგი ღლონტი და სხვები., *კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა აშშ&საქართველო,* 233.

[75] შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, 84-85.

[76] ღლონტი, რედ., *კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში,* 179-180.

ფორმის მქონე, სამი ან მეტი პირისაგან შემდგარ ჯგუფს,რომლის მიზანია პირდაპირ ან არაპირდაპირ მიიღოს ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებელი.“[77]

ქცევებს მიეკუთვნება წევრების ერთად ცხოვრება დიდი ხნის მანძილზე, ასევე მოწესრიგებულობა რაც გამოიხატება როგორც ერთმანეთთან ურთიერთობაში ასევე დანაშაულის დაგეგმვის და შემდგომ განხორციელების პროცესში, ანუ თითოეულ წევრს აქვს თავის ფუნქცია-მოვალეობები რასაც ისინი პირნათლად ასრულებენ, ამასთან ლოგიკურია რომ მათი ძირითადი საქმიანობა დაკავშირებულია უკანონო ქმედებებთან, ასევე მათ ახასიათებთ საწიროების შემთვევაში ერთმანეთის დახმარება და ყველაფრის გაკეთება იმისათვის, რომ მათ მიერ დაგეგმილ ქმედებას ხელი ვერავინ შეუშალოს, ამაში იგულისხმება როგორც სანაცნობო წრის ასევე ძალის გამოყენება.[78]

იმისთვის რომ ორგანიზებული დანაშაული განხორციელდეს აუცილებელია პირთა წრე, რომლებიც ერთმანეთს თვალდახუჭული ენდობიან, ამიტომ ისინი ძირითადად ახლო სოციალური წრიდან არიან და დაჯგუფებამდე დიდი ხანი იცნობდნენ ერთმანეთს. ასევე მნიშვნელოვანია ორგანიზებული ჯგუფისა გარჩევა კრიმინალური ქსელისგან, ვინაიდან დანაშაულის ხასიათი სწორად იყოს გაგებული. როგორც ზემოთ აღინიშნა ორგანიზებული ჯგუფი ხასიათდება მათი მრავალრიცხოვანი წრით, რომლის რაოდენობრივი ზღვარიც დადგენილი არ არის და ასევე საერთო მისწრაფებით, ხოლო ორგანიზებული ჯგუფისგან განსხვავებით კრიმინალური ქსელი ხასიათდება მისი წრის სიმცირით რომელიც უმეტესად ათეულებს არ სცდება.[79]

ორგანიზებული ჯგუფები ერთმანეთისგან განსხვავდება თავიანთი სტრუქტურისა და სამოქმედო სფეროს მიხედვით, არიან ჯგუფები რომლებიც ფინანსური მოგების მიზნით ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას და არიან ჯგუფები, რომლებიც უზრუნველყოფენ როგორც წევრების ასევე მათი ნათესავების უსაფღთხოებას, და ეხმარებიან მათ საქმიანობის განხორციელებაში. ასევე განსხვავდებიან შიდა ორგანიზებით, ვინაიდან ზოგიერთ ჯგუფს დაყოფილი აქვს თითოეულ წევრზე მათი მოვალეობები, ხოლო არის ჯგუფები, რომლებიც მხოლოდ იერარქიის დაყოფას ჯერდებიან და ფუნქციური დაყოფა არ გააჩნიათ.[80]

რაც შეეხება დანაშაულის ამ ფორმის პრევენციას, ეს ძალიან რთული საკითხია, ვინაიდან როგორც ზემოთ აღინიშნა ამ დანაშაულის ჯგუფებს გააჩნიათ რთული სტრუქტურა, ამასთან

[77] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ (15.11.2000), https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0 (05.07.2020).
[78] შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, 85-86.
[79] იქვე, 88-89.
[80] იქვე, 91-92.

სისხლის სამართალში არსებული გამოცდილებით ჩანს, რომ ამ დანაშაულის მიმართ უკვე არსებული სამართლებრივი ზომები უძლურია, ისევ მათი ორგანიზებული სიძლიერის გამო, ისინი ყოველთვის ახერხებენ თავის დაღწევას და უფრო მეტად გაძლიერებას.[81]

აქედან გამომდინარე აღნიშნული დანაშაულის პრევენციისათვის აუცილებელია ბრძოლის მეთოდების სწორად და ბრთხილად შერჩევა, პირველ რიგში აუცილებელია სახელმწიფომ იზრუნოს იმაზე, რომ გამოკვეთოს თავის შესაძლებლობები და სიძლიერე დანაშაულებრივ ჯგუფებთან შედარებით რაც მას შეუძლია როგორც სწორი მმართველობითი სტრუქტურის დაკომპლექტებით ასევე სამართალდამცავი ორგანოების დახმარებით, რაშიც იგულისხმება თანამშრომელთა სწორი შერჩევა რათ მათზე გავლენა ვერ მოახდინოს დაჯგუფებამ, ასევე მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ იმაზე მეტი რესურსი ჩადოს ფულის სახით აღნიშნულ დანაშაულთან ბრძოლაში ვიდრე ამას ორგანიზებული ჯგუფები აკეთებენ, ამის საშუალებით მათ ნაკლები შესაძლებლობა ექნებათ მოისყიდონ მნიშვნელოვანი პირები მათზე მფარველობისთვის.[82]

ასევე ამ პროცესში საზოგადოების ჩართულობას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მათი რაოდენობა გაცილებით მეტია ამ დანაშაულის მომხრეთა რაოდენობაზე, ამიტომ მათ უნდა შექმნან ისეთი გარემო რომ აღნიშნულმა დაჯგუფებებმა ვერ შეძლონ მათი საქმიანობის სრულყოფილად ფუნქციონირება.[83] აქედან გამომდინარე თუ სახელმწიფოს უნდა ამ დანაშაულის აღკვეთა ან შემცირება, უნდა მიიღოს ეფექტური ზომები და ჩადოს დიდი რესურსი ამ ზომების განხორციელებაში.[84]

5.2. ნარკოტიკული დანაშაული

როგორც სისხლის სამართლის ასევე საზოგადოების მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ნარკოტიკული დანაშაული, რადგან მისი როგორც გამოვლენა ასევე პროფელაქტიკა ძალიან რთულია. აღნიშნული დანაშაული განისაზღვრება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მულით, რომლის მიხედვით ნარკოტიკული დანაშაული არის „ნარკოტიკული

[81] ავანესოვი, კრიმინოლოგია, 582.
[82] იქვე, 583-584.
[83] იქვე.
[84] იქვე, 590.

საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა.“[85]

რაც შეეხება მის დამახასიათებელ ნიშნებს, ძირითადად არსებობს ძლიერი და მსუბუქი მოქმედების ნივთიერება, რომელებიც მათი სახელიდანაც ჩანს, რომ განსხვავდებიან მოქმედების ხარისხით,[86] ხოლო მისდამი მიჯაჭვულობის როგორც ფსიქიკური ასევე ფიზიკური სახე არის ცნობილი. პირველ მათგანში იგულისხმება ადამიანისათვის მის ნერვებზე ნივთიერების დადებითი რეაქციის შედეგად მისი კვლავ მოხმარების მოთხოვნილებაში და მიუღებლობის შემთვევაში იგი საშინლად განიცდის ამას, როგორც წესი ასეთ სიტუაციაში დამოკიდებული პირები ხდებიან აგრესიულები ან თავის თავში ზედმეტად ჩაკეტილები, ამიტომ ისინი ცდილობენ ყველაფერი გააკეთონ იმისთვის, რომ დაიკმაყოფილონ ნარკოტიკული საშუალების მიღების სურვილი.[87]

ხოლო რაც შეეხება ფიზიკურ მიჯაჭვულობას, ამ შემთხვევაში პირი რომელიც უკვე მოიხმარს ნარკოტიკს მისი არ მიღების შემთვევაში გრძნობს ფიზიკურ ტკივილს და სხვა გვერდით მოვლენებს, რომელიც ასევე ფიზიკურ ტანჯვასთან არის დაკავშირებული. ფსიქიკურისგან განსხვავებით ამ შემთხვევაში პიროვნებას უხდება ყოველ ჯერზე უფრო მეტი ნივთიერების მიღება, რადგან ხშირ შემთხვევაში ორგანიზმი ეგუება უკვე მიღებულ რაოდენობას და კარგავს ზემოქმედების ეფექტს, ამიტომ ასეთ დამოკიდებულებას ხშირ შემთვევაში სამწუხაროდ ფატალური შედეგი აქვს.[88]

არსებობს თეორიები რომლებიც ხსნის ნარკოტიკზე დამოკიდებულებას, ერთ-ერთი შესაძლო მიზეზი არის პატარა ასაკში გადატანილი სტრესი, რომელიც პირისათვის ჯერ არ განელებულა და იგი ამ საშუალებით ცდილობს მის დავიწყებას. მიჯაჭვულობის მიზეზი შეიძლება იყოს ნერვული სისტემის ფუნქციონირების დარღვევა ან თანდაყოლილი არამდგრადობა, რომლის გამოც ორგანიზმი ადვილად ეჩვევა ამ მავნე ნივთიერებას და ითხოვს მას. ასევე არსებობს თეორია, რომლის მიხედვითაც მიჯაჭვულობა დამოკიდებულია გარემო პირობებზე, რაშიც იგულისხმება თუ რამდენად კომფორტულად გრძნობს პირი თავს როგორც საზოგადოებაში, ასევე საახლობლო

---

[85] საქართველოს პარლამენტი, *საქართველოს კანონი* #41(48), 13/08/1999 *წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი* (თბილისი: პარლამენტის უწყებანი, 02.07.2020), https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=223 (05.07.2020).
[86] შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, 202.
[87] იქვე, 206.
[88] იქვე.

გარემოში და დიდი მნიშვნელობა აქვს პირად ცხოვრებაში არსებულ სიტუაციას. ასევე მნიშვნელოვანია როგორ ადამიანებთან უწევს პირს კონტაქტი ვინაიდან, ხშირია შემთხვევები, როდესაც ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებას საამხანაგო წრე ასტიმულირებს, რადგან ის არ გამოირჩეოდეს საამხანაგოსგან და ამის გამო არ იყოს დაკნინებული, სამწუხაროდ პრაქტიკაში ხშირია ასეთი შემთვევები.[89]

ასევე მნიშვნელოვანია საზოგადოების როლი აღნიშნულ პრობლემის გამწვავებაში, ვინაიდან უმეტესად პირს რომელმაც ერთხელ მიიღო ნარკოტიკული საშუალება, საზოგადოება ამ საქციელს არ პატიობს და და უარყოფენ მას, შედეგად კი პირი ითავისებს ამ მდგომარეობას და იწყებს ნივთიერების ხელახალ მოხმარებას. მნიშვნელოვან გარემოებას წაროადგენს ასევე ადამიანის შინაგანი კომპლექსების არსებობა, ამიტომ მას ხშირად აქვს პრობლემები როგორც საკუთარ თავთან ასევე გარშემომყოფებთან და ამის დასავიწყებლად ხდება ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელი.[90]

რაც შეეხება ნარკოტიკული დანაშაულის პრევენციას არსებობს ორი მიდგომა, პირველი არის ზოგადი, რაშიც იგულისხმება, როგორც საზოგადოების ასევე სახელმწიფოს ჩართულობა, აუცილებელია საზოგადოებაში შეგნების და კულტურის დონის ამაღლება, რაც შესაძლებელია ამ დანაშაულის შესახებ მათი უკეთესი ინფორმირებულობით. ხოლო სახელწიფოს მხრიდან აუცილებელია ამ დანაშაულის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრისთვის შესაბამისი ზომების მირება, რაც უნდა გამოიხატოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებით, ვინაიდან სიღარიბე ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია ამ დანაშაულის წახალისების, ასევე აუცილებელია ჯანსაღი ცხოვრების სტილის რეკლამირება და ფსიქოლოგიური დახმარება იმის შესასწავლად, თუ როგორ არ უნდა მიიღონ ნარკოტიკული საშუალებები, მნიშვნელოვანია სასაზღვრო კომტროლის უფრო მეტად გამკაცრება და ამ მხრივ თანამშრომლობა სხვა ქვეყნებთან.[91]

მნიშვნელოვანია ასევე სამედიცინო სფეროში არსებული სიტუაციის კონტროლი რათა არ მოხდეს უფლების ბოროტად გამოყენება და საჭიროების შემთხვევაში დამოკიდებული პირის იძულებითი მკურნალობა, ვინაიდან ზოგიერთი ადამიანი ვერ აცნობიერებს თუ რამდენად დიდი პრობლემის წინაშე დგას იგი. ამასთან მნიშვნეოვანია სპორტის სამყაროში მკაცრი ზომების გატარება რადგან არ მოხდეს სპორტსმენების მიერ ისეთი ნივთიერებების მირება რომელიც ხელს უწყობს მათ საქმიანობის უკეთესად წარმართვას, მაგრამ შეიცავს ნარკოტიკული ნივთიერების

[89] იქვე, 207-208.
[90] იქვე.
[91] Ивана Кушнира, „Криминология“. *Институт экономики и права* (2009), http://be5.biz/pravo/k041/18.html#5 (04.07.2020).

გარკვეულ რაოდენობას, რაც დაუშვებელია მაგრამ მიუხედავად ამის პრაქტიკაში მრავლად არის ასეთი შემთვევები, და ბოლოს მნიშვნელოვანია ნარკოტიკის შემცველი ნივთიერებების რეკლამირების აკრძალვა რაც გარკვეულწილად ასტიმულირებს მის მოხმარებას.[92]

5.3. რეციდიული დანაშაული

სისხლის სამართლის დანაშაულთა სისტემას მიეკუთვნება რეციდიული დანაშაულიც, რომელიც გულისხმობს ისეთ სიტუაციას, როდესაც პირმა ჩაიდინა განზრახი დანაშაული და ამისათვის ნასამართლევი იყო, ხელმეორედ სჩადის ისევ განზრახ დანაშაულს. იგი განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა სიას მიეკუთვნება, რადგან თუ პირი განმეორებით ჩადის განზრახ დანაშაულს ნიშნავს, რომ იგი მიდრეკილია კრიმინალური საქმიანობისკენ და მოსალოდნელია მის მიერ სხვა დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა. აღნიშნული დანაშაული ზოგადად საზოგადოებას უქმნის საფრთხეს, ვინაიდან ისინი ცდილობენ თავიანთი შეხედულებები მოახვიონ სხვებსაც და ამით უბიძგებენ დანაშაულის ჩადენისკენ, ამიტომ მათ გამო ქვეყანაში საშიში დანაშაულის დონე იმატებს.[93]

რეციდივის რამდენიმე სახე არსებობს ესენია, მარტივი, საშიში და განსაკუთრებით საშიში რეციდივი, საშიში არის იმ შემთვევაში, როდესაც პირმა განზრახი დანაშაულისთვის ორჯერ მოიხადა სასჯელი და კიდევ ჩაიდინა იგი, ასევე თუ წინათ მძიმე დანაშაული აქვს მოხდილი და ისევ იგივე გაიმეორა. ხოლო განსაკუთრებით საშიშის შემთხვევაში პირს სამჯერ ან უფრო მეტჯერ აქვს არა მსუბუქი დანაშაული ჩადენილი და კიდევ ჩაიდენს, ასევე როდესაც მძიმეს ან განსაკუთრებით მძიმეს ჩაიდენს განმეორებით. ასევე არსებობს პენიტენციური რეციდივი, რომელიც გულისხმობს ნასამართლევი პირის მიერ დანაშაულის ჩადენას, რომელიც იმ მომნტში იმყოფება სასჯელის მოხდის პროცესში.[94]

რაც შეეხება გმომწვევ მიზეზებს, ამას უმეტესად ზოგადი ხასიათი აქვს, რაშიც იგულისხმება ქვეყანაში არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების არსებობა, ასევე იმ ორგანოების არაეფექტური მუშაობა, რომლებსაც ევალებათ დანაშაულის კონტროლი და მასთან ბრძოლა და

[92] იქვე.
[93] ზაურ წულაია, კრიმინოლოგია, 255-258.
[94] ავანესოვი, კრიმინოლოგია, 546.

დამნაშავის რესოციალიზაციასტან დაკავშირებული, პრობლემები, რის გამოც იგი ვერ ახდენს საზოგადოებაში განვითარებას და იმეორებს დანაშაულს.[95]

რაც შეეხება ამ დანაშაულის პრევენციას პირველ რიგში აუცილებელია სახელმწიფოს და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან მოხდეს მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის პროგრამის განვითარება და დახვეწა რაც გამორიცხავს ან გაანელებს პატიმრობის უარყოფით შედეგებს, დაეხმარება მათ სამსახურის და აუცილებელი საჭიროებების დაკმაყოფილებაში, რომ იგი იძულებული არ გახდეს გაიმეოროს დანაშაული.[96] ასევე აუცილებელია შეფარდებული სასჯელი იყოს ეფექტური და სამართლიანი,[97] კიდევ ერთი ზომა შეიძლება იყოს სოციალური კონტროლი იმ პირების მიმართ რომლებმაც მოიხადეს სასჯელი, რათა მათ არ გამოუმუშავდეთ რაიმე მავნე ჩვევა მაგალითად აზარტული თამაშები ან ნარკომანია, რომელმაც შესაძლოა კვლავ დანაშაულისკენ უბიძგოს, ამისათვის საჭიროა ჩამოყალიბდეს ზედამხედველობის ორგანოები, რომლებიც კონტროლს გაუწევენ აღნიშნულ პირებს და საჭიროების შემთვევაში გარკვეულ შეზღუდვებს დაუწესებენ მათ.[98]

5.4. არასრულწლოვანთა დანაშაული

ქართულ რეალობაში არასრულწლოვანთა დანაშაული წარმოადგენს ყველაზე საფრთხილო დანაშაულს ზოგადად ამ სისტემაში, ვინაიდან საქმე ეხება მომავალ თაობას, როდესაც ქვეყანაში მომატებულია არასრულწლოვანთა დანაშაულობა ეს გულისხმობს იმას, რომ არსებობს მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემები, რადგან სწორედ ბავშვების ქცევაზე ახდენს გავლენას მსგავსი პრობლემების არსებობა, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვები წაემოადგენენ მომავალ თაობას და მათში დანაშაულის მაღალი მაჩვენებელი მომავალში ზრდასრულთა დანაშაულის მაღალი მაჩვენებლის შესაშლო პირობა და ნიშანია, ამიტომ მნიშვნელოვანია ამ დანაშაულის საფუძვლიანად შესწავლა და შემდგომ თავიდან აცილება.[99]

---

[95] იქვე, 554-555.

[96] Ивана Кушнира, „Криминология“. *Институт экономики и права* (2009), http://be5.biz/pravo/k041/12.html (04.07.2020).

[97] ავანესოვი, კრიმინოლოგია,555

[98] Ивана Кушнира, „Криминология“. *Институт экономики и права* (2009), http://be5.biz/pravo/k041/12.html (04.07.2020).

[99] ღლონტი, რედ., *კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა* საქართველოში, 290.

აღნიშნული დანაშაულის ძირითადი მახასიათებლებია მისი სპრონტანურობა, რაც გამოიხატება იმაში, რომ დანაშაულის განხორციელება ხდება გაუაზრებლად, მომზადების გარეშე. ეს დანაშაული ზრდასრულთა დანაშაულისგან განსხვავებით გამოირჩევა მსუბუქი ფორმებით ამიტომ ზიანიც და საშიშროებაც შედარებით ნაკლებია, მაგრამ მისი ძირითადი მახასიათებელია დანაშაულის შეუტყობინებლობა, რომელსაც ზოგადად სისტემური ხასიათი აქვს, რაც აიხსნება იმით, რომ საზოგადოებას არ აქვს გააზრებული აღნიშნული დანაშაულის სიმძაფრე და მისი შეუტყობინებლობის შესაძლო შედეგები. ამ დანაშაულს ასევე ახასიათებს ჯგუფურობა, მაგრამ მათი ჯგუფები არ გამოირჩევა მოწესრიგებულობით, რაც უმეტესად განაპირობებს დანაშაულის ჩადენის დროს შეცდომების დაშვებას, დანაშაული ძირითადად ფულადი სარგებლის მიღების მიზნით ხორციელდება და უმეტესად ხელყოფს საკუთრების უფლებას.[100]

ასევე მისი მახასიათებელი ნიშანი არის ის, რომ ამ დანაშაულის დიდი ნაწილი მიეკუთვნება ქალაქს, ეს კი იმით აიხსნება, რომ სოფელში უფრო მეტად მაღალია ბავშვთა კონტროლის მაჩვენებელი ვიდრე ქალაქში. ასევე დანაშაულის უმეტესობა ჩადენილია ისეთ პერიოდში, როდესაც მათზე კონტროლი ნაკლებად ხორციელდება. დამნაშავის პრიოვნება ძირითადად ხასიათდება განათლების დაბალი მაჩვენებლით, ვიდრე მისი თანატოლები, ასევე ახასიათებს უხეშობა და ჭირვეულობა.[101]

რაც შეეხება დანაშაულის გამომწვევ ძირითად მიზეზებს ეს არის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება, რადგან ცხოვრების დონის მკვეთრი კლება უფრო მეტად ზემოქედებს არასრულწლოვანთა ფსიქიკაზე, ვინაიდან მათ ჯერ კიდევ არ აქვთ განვითარებული და ჩამოყალიბებული ღირებულებათა და შეხედულებათა სისტება, აქედან გამომქინარე მათზე ადვილად ახდენს გავლენას ყველანაირი მკვეთრი ცვლილება, მითუმეტეს თუ ეს უარყოფითი მოვლენაა. ამასთან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი არის ოჯახური მდგომარეობა, რადგან თუ ოჯახი ეკონომიკურად დაბალ საფეხურს მიეკუთვნება ხშირ შემთვევაში ვერ ხდება ბავშვის მოთოვნილებების დაკმაყოფილება, შედეგად კი თავად ბავშვი ცდილობს ამის გაკეთებას არაკანონიერი გზით, ასევე ბავშვის ფსიქიკაზე უარყოფითად მოქმედებს ოჯახში დაძაბული ფონი და არეულობა, რადგან ასეთ სიტუაციებში ნაკლებია კულტურული და ზნეობრივი დონე, რის გამოც არასრულწლოვანს უვითარდება არასწორი შეხედულებები და ხშირ შემთხვევაში ასეთი

[100] იქვე. 290-291.
[101] იქვე.

მოზარდები დანაშაულისკენ არიან მიდრეკილები, ვინაიდან ზოგადად დანაშაულის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სწორედ ამ პრობლემის წინაშე მდგარი არასრულწლოვნებზე მოდის.[102]

სისხლის სამართლისთვის მნიშვნელოვანი საკითხია არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია და ამიტომ ამ პროცესში ჩართულები არიან კრიმინოლოგების უმრავლესობა, რათა მოიძიონ და გაანალიზონ ამ დანაშაულზე ინფორმაცია, რომ მოხერხდეს ეფექტური პრევენციული ზომების მიღება, იქიდან გამომდინარე, რომ თვითონ დანაშაული თავისი ხახიათიდან გამომდინარე წარმოადგენს განსაკუთრებულ კატეგორიას, მისი პრევენციაც გამოირჩევა შესაბამისი მახასიათებლებით, რომელიც განისაზღვრება კონკრეტული დანაშაულის ხასიათის მიხედვით, მაგრამ ასევე მოიცავს იმ მეთოდებს, რომელიც ზოგადი დანაშაულის პრევენციისთვის გამოიყენება.[103]

აღნიშნული დანაშაულის პრეცენციის ეტაპები ძირითადად სამ საფეხურად იყოფა, პირველი საფეხური ეს არის, იმ გარემო პირობების გაუმჯობესება, რომელმაც შეიძლება ხელი შეუწყოს დანაშაულობას, მეორე საფეხური ეს არის, იმ ფაქტორებზე ზემოქმედება, რომლებიც უკვე მიმდინარეობს მაგრამ დანაშაული ჯერ არ დამდგარა და მესამე საფეხური არის იმ მოზარდების რეაბილიტაცია, რომლებსაც ჩადენილი აქვთ დანაშაული, რათა არ გაიმეორონ იგივე ქმედება. მესამე საფეხურის შემთვევაში ასევე მნიშვნელოვანია ოჯახთან აქტიური კომუნიკაციაც და ინფორმაციის მიწოდებაც, იმის შესახებ თუ როგორ უნდა იურთიერთონ მათ შვილებთან, ასევე, პრევენციისთვის მნიშვნელოვანია მოზარდთა აქტივობებით დაკავება როგორც სამუშაო ასევე გასართობი კუთხით, რათა მათ მოახდინონ საზოგადოებაში ინტეგრაცია, მაგრამ ამასთნ ერთად არ უნდა არსებობდეს დაუსჯელობის მოლოდინი, და ყველა სახის კანონის დარღვევა უნდა ითვალისწინებდეს შესაბამის ზომებს.[104]

პრევენციის პროცესში აქტირუად არიან ჩართულნი სამართალდამცავი უწყებები, რომლებიც უმეტესად უზრუნველყოფენ გარემო ფაქტორების ზემოქმედების განელებას, რომლებიც ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას, ასევე უზრუნველყოფენ დანაშაულის ადრეულ სტადიაზე გამოააშკარავებას და შესაბამისი სადამსჯელო ღონისძიებების მიღებას, ამისათვის ისინი იღებენ შესაბამის ზომებს როგორც უწყების მიერ ასევე სასამართლოს დახმარებით, ხოლო სასჯელის მოხდის შემდგომ მათ კონტროლსა და დახმარებას.[105]

---

[102] Ивана Кушнира, „Криминология“. *Институт экономики и права* (2009), http://be5.biz/pravo/k041/14.html (04.07.2020).
[103] ღლონტი, რედ., *კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა* საქართველოში, 295.
[104] იქვე, 295-296.
[105] იქვე.

5.5. ოჯახური დანაშაული

დღეის მდგომარეობით ოჯახური დანაშაული საქართველოში თითქმის ყველაზე აქტიური დანაშაულია, რადგან ვერ ხერხდება მისი თავიდან აცილება, რის თაობაზეც ქვემოთ იქნება საუბარი. რაც შეეხება აღნიშნული დანაშაულის დახასიათებას, გამომწვევი მიზეზები მრავალია, მაგრამ ყველაზე ხშირი და დაუძლეველი მიზეზი არის წეს-შვეულებები, რომელიც უმეტეს შემთვევაში აკნინებს ქალის როლს ოჯახში. ვინაიდან საქართველოში უმეტესად რეგიონებში აღზრდის ეს მეთოდი ჯერ კიდევ შემორჩენილია, ამიტომ ასეთ ოჯახებში მამაკაცების უხეშობა და ძალადობრივი გამოვლინებები ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნევა, რაც არის საზოგადოების და ზოგადად ქვეყნის პრობლემა, ვინაიდან, სწორედ ასეთი წესები და მიდგომები ქმნიან დანაშაულის ნიადაგს, რომელიც უმეტესად ქალებისთვის ფატალურად სრულდება. მიუხედავად რიგი საკანონმდებლო აქტებისა რომლებიც ამ დანაშაულს საკანონმდებლო დონეზე არეგულირებენ რეალურად პრაქტიკაში მისი მნიშვნელოვნად შემცირება ვერ ხერხდება.[106]

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახური დანაშაულის უმეტესი ნაწილი მოდის მშობლებს შორის და დანაშაულს ჩადის კაცი, რასაც განაპირობებს მათი შეხედულებები ოჯახში უფლებების განაწილებაზე, რაც უმეტესად ოჯახის სხვა წევრების მიმართ უსამართლობას წარმოადგენს. ასევე ამ დანაშაულში მოიაზრება ძალადობა არასრულწლოვანთა მიმართ, ამ შემთვევაში კი გამოიკვეთა ტენდენცია, რომ უმეტესად დანაშაულს ჩადიან მდედრობითი სქესის წარმომადგენლები და ამას ბავშვის დასჯის მეთოდად მოიაზრებენ. ასევე ამ დანაშაულში მოიაზრება დედმამიშვილებს შორის ძალადობა, რაც ხშირ შემთხვევაში დანაშაულის სახით არ ვლინდება ამიტომ დასჯადობაც ნაკლებია, მაგრამ შესაძლებელია ამგვარმა სიტუაციამ მოზარდებზე ფსიქოლოგიური გავლენა იქონიოს. ასევე რთული შემთვევაა ძალადობა მოხუცების მიმართ, რადგან მათზე ძალადობა უმეტესად უმწეო მდგომარეობაში ყოფნისას ხორციელდება, მიუხედავად დანაშაულის ამ სახის სიმძაფრისა, მასზე ნაკლები ინფორმაცია არსებობს კრიმინოლოგიაში ვინაიდან მიეკუთვნება უმეტესად გაუხმაურებელ დანაშაულთა რიგებს.[107]

ოჯახური დანაშაული გამოიხატება რამდენიმე სახის ძალადობაში ესენია, ფიზიკური რა დროსაც დაზარალებული განიცდის ტკივილს ან/და იტანჯება. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფსიქიკური, რომელიც გამოიხატება დამნაშავის აქტიურ ქმედებაში და მიმართულია პირის ფსიქიკის შერყევისკენ რათა მან განახორციელოს ან არ განახორციელოს რაიმე

[106] შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, 191.
[107] იქვე, 195-196.

ქმედება. ასევე ეკონომიკური, რომლის დროსაც დამნაშავე ცდილობს ოჯახის მთლიანი ფინანსები და ქონება არასამართლიანად მიისაკუთროს და მხოლოდ თავისი სურვილისამებრ განაგოს იმ მიზნით, რომ ოჯახის სხვა წევრები იძულებით მასზე დამოკიდებული გახადოს და ბოლოს სექსუალური სახე, რომელიც მიიჩნევა ყველაზე საშიშ სახედ, ვინაიდან იძულებით ამგვარი ძალადობა დიდ გავლენას ახდენს ადამიანის ფსიქიკაზე და გამოუსწორებელ ზიანსაყენებს მას, მითუმეტეს თუ ასეთი ძალადობა განხორციელდა ბავშვების ან მოზარდების მიმართ.[108]

აღნიშნული დანაშაული საზოგაოდებისთვის მეტად საშიშია, რადგან უმეტეს შემთვევაში მას აქვს სისტემატიური სახე და მისი გამოვლენა ადრეულ ეტაპზე ვერ ხერხდება. ასევე იქიდან გამომდინარე რომ დანაშაულის ჩამდენი პირი არის მსხვერპლის ოჯახის წევრი ან ნათესავი ეს დანაშაული ქმედება მის ფსიქიკაზე განსაკუთრებით ცუდად აისახება, ხოლო არასრულწლოვნების შემთხვევაში ეს იწვევს მათი ფსიქიკის დამახინჯებას რაც ხშირ შემთხვევაში გამოუსწორებელ ზიანს აყენებს მათ.[109]

რაც შეეხება დანაშაულის პრევენციას, მიუხედავად იმისა, რომ სამართალდამცავი სისტემა ჩართულია ამ დანაშაულთან ბრძოლაში, ხშირად მათ მიერ მიღებული ზომები უშედეგოა, ვინაიდან არ ხდება აღსრულება დამნაშავის მხრიდან, იმისათვის, რომ დანაშაული ადრეულ სტადიაზე გამოვლენა ან პრევენცია მოხდეს მნიშვნელოვანია მის შესახებ კრიმინოლოგიური ინფორმაციის შეგროვება და გაანალიზება, ასევე აუცილებელია მისი რაიმე მსუბუქი ნიშნით გამოვლენისას დროული ჩარევა და შესაბამისი დამსჯელობითი ღონისძიებების გატარება, რაც შეიძლება იყოს გაფრთხილება ან ჯარიმა, ასევე უნდა მოხდეს ამ დანაშაულისკენ მიდრეკილი ოჯახების კონტროლი, რომელშიც მოიაზრება, ფინანსურად გაჭირვებული, ასევე თუ ოჯახში არის ნასამართლევი ადამიანი და მას არ გააჩნია შემოსავალი, ბავშვის მიმართ გულგრილი დამოკიდებულების შემთხვევაში, ასევე თუ ოჯახის წევრებს შორის შეინიშნება მათი ხასიათების ღია დაპირისპირება და თუ ისინი გამოირჩევიან თავის თავში ჩაკეტილობით და სხვა ფაქტორები. ამ საქმეში ჩართული უნდა იყვნენ როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციები ასევე სამართალდამცავი ორგანოები და მათი ცალკეული წარმომადგენლები, რომლებსაც ევალებათ დანაშაულთან ბრძოლა.[110]

---

[108] იქვე.
[109] იქვე.
[110] ზაურ წულაია, კრიმინოლოგია, 399-400.

5.6. ტერორიზმი

როდესაც საუბარია საზოგადოებისთვის განსაკუთრებით საშიშ დანაშაულებზე აუცილებელია მათ რიგებს მიკუთნებული იქნეს ტერორიზმი, რადგან დღესდღეობით იგი წარმოადგენს მთლიანად მსოფლიოს პრობლემას. ამ დანაშაულში იგულისხმება ტერორისტების მიერ ადამიანების გარკვეული წრის მიმართ ძალადობის გამოყენებით ან ძალადობის მუქარით მათი მოთხოვნების შესრულება. აღნიშნულ დანაშაულს ახორციელებენ ცალკეული პირები, რომლებიც ერთიანდებიან გარკვეული მიზნით და ორგანიზაციები ძირითადად იმისათვის, რომ მოახდინონ სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილება ან მმართველობითი ორგანოების კონტროლი, გამოიწვიონ არეულობა და მოახდინონ ტერორისტული აქტები.[111]

აღნიშნული დანაშაულის განსაკუთრებული სიმძიმე გამოიხატება იმაში, რომ იგი გავრცელებულია მსოფლიოს მაშტაბით და მოიცავს ასეულობით ტერორისტულ გაერთიანებას, რომლებიც ასევე ჩართული არიან ისეთ მძიმე დანაშაულებში როგორიცაა ნარკოტიკული დანაშაული და ტრეფიკინგი, ვინაიდან ისინი ამ გზით იღებენ ფინანსებს, რომელიც მათი ფუნქციონირებისთვის აუცილებელია.[112]

აღნიშნული დანაშაულის ძირითად მახასიათებლებს წარმოადგენს მისი სიმძიმე და განსაკუთრებული საშიშროება, ვინაიდან უმეტეს შემთხვევაში მათ მიე განხორციელებულ თავდასხმებში იღუპება უდანაშაულო ადამიანების დიდი რიცხვი. ასევე იგი ხასიათდება გამჭირვალე ბუნებით, ვინაიდან ტერორისტული ორგანიზაციები მუდმივად ცდილობენ იყვნენ ყურადღების ცენტრში და მათი შეხედულებები მოახვიონ საზოგადოებას, შესაბამისად ისინი ხშირად ჩნდებიან სოციალურ ქსელებში და აჟღერებენ მათ პოზიციებს და მუქარებს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, რაც არ ახასიათებს სხვა დანაშაულებრივ დაჯგუფებებს. ასევე აღნიშნული ორგანიზაციები ცდილობენ ხალხში მუდმივად დათესონ შიში რათა მათზე გავლენა ადვილად მოახდინონ და ბოლოს ყველაზე საშიში და უარყოფითი მახასიათებელი არის ძალადობა, რომელსაც ახორციელებენ სრულიად უდანაშაულო ხალხის მიმართ, რათა მათ მოთხოვნებს და ქმედებებს სახელმწიფოებმა უფრო მეტი სერიოზულობით შეხედოს და ხშირ შემთვევაში ეს დასჯის განზრახვით კეთდება.[113]

---

[111] ღლონტი, რედ., *კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა* საქართველოში, 240.
[112] იქვე, 241.
[113] იქვე, 241-242.

არსებობს პირდაპირი და ირიბი ტერორიზმი რაც გამოიხატება მათ მიერ სასურველი მიზნის გამოაშკარავებით, ვინაიდან პირველის შემთვევაში ისინი პირდაპირ ამბობენ რაც სურთ და ამისთვის ღიად ახორციელებენ ქმედებებს, ხოლო ირიბის შემთვევაში მათი მიზანი დამალულია ხოლო ქმედებებს ახორციელებენ ისე, რომ მიზნის მიღწევა მაინც მოახერხონ თვიანთი თავის გამოააშკარავების გარეშე.[114]

აღნიშნული დანაშაულის რთული სტრუქტურიდან გამომდინარე მისი მრავალი სახე არსებობს, რომელთა სრულად ჩამოთვლა და დახასიათება შეუძებელია, ამიტომ მსოფლიო ორგანიზაციების მეშვეობით გამოავლინდა ამ დანაშაულის რამდენიმე სახე ესენია: პილიტიკური, როდესაც ტერორისტული ორგანიზაციის სამიზნე არის ამა თუ იმ ქვეყნის ხელისუფლება რათა გაატარონ ტერორისტებისთვის სასურველი პოლიტიკა. ასევე ინფორმაციული, რომლის შემთვევაშიც დამნაშავეები ცდილობენ ფსიქოლოგიური გავლენა მოახდინონ ინდივიდებზე, რათა დაიმორჩილონ ისინი და შეასრულებინონ გარკვეული ქმედებები მათ სასარგებლოდ. რაც შეეხება ეკონომიკუს ტერორიზმს, ამ შემთხვევაში დამნაშავეები ახორციელებენ ისეთ აქტებს, რომელიც მიმართულია როგორც ქვეყნის ასევე მოსახლეობის მიმართ და მიზნად ისახავს ტერორისტებისთვის ფინანსების გამომუშავებას. ასევე ტერორიზმის ერთ-ერთი სახეა სოციალური, რომლის დროსაც ხორციელდება ისეთი ქმედებები, რომელიც ხელს უწყობს ქვეყანაში დანაშაულის მატებას, ასევე არეულობას საზოგადოებაში და სოციალური ფონის გაუარესებას.[115]

სისხლის სამართალი ასევე იცნობს სუიციდურ ტერორიზმს, რა დროსაც ტერორისტული დაჯგუფების რომელიმე წევრი თავს წირავს გარკვეული მიზნებისთვის. ასევე არსებობს ტექნოლოგიური ტერორიზმი, რა დროსაც აქტებს ახორციელებენ ქიმიური და მიოლოგიური მასალის გამოყენებით ან მათი განადგურებით, და ბოლოს კრიმინალური ტერორიზმი, რომელის მთავარი მიზანი არის ფინანსური სარგებლის მიღებისათვის ბიზნესებისა და ბიზნეს-ობიექტების დასაკუტრებას, რისთვისაც იყენებენ საშიშ ძალადობას და ამას დაუფარავად აკეთებენ.[116]

რაც შეეხება მიზნებს აღნიშნავენ ოთხ ძირითადს, ესენია: რელიგიური, რომლის დროსაც გმობენ სხვათა რელიგიებს და ცდილობენ საზოგადოებას მოახვიონ საკუთარი შეხედულებები რელიგიაზე და აღიარებინონ მათ მიერ მისაღები რელიგია. პილიტიკურის შემთხვევაში უმეტესად დანაშაული ხორციელდება პოლიტიკური მმართველების მიმართ, რათა შეცვალონ მიდგომები ან ქვეყანა მათთვის სასურველ პოლიტიკურ კურსზე გადაიყვანონ. ნაციონალურის შემთხვევაში

[114] იქვე.
[115] იქვე, 242-243.
[116] იქვე, 243-244.

დანაშაული ხორციელდება ეთნიკური ნიშნით, და ეკონომიკური მიზნის შემთვევაში დანაშაული ხორციელდება ფულადი სახსრების მოძიების და სარგებლის მიღებისათვის როგორც სახელმწიფოს ასევე ცალკეული ორგანიზაციების მიმართ.[117]

ასევე მნიშვნელოვანია მიმოხილულ იქნას დანაშაულის მეთოდები, ვინაიდან დანაშაულის სირთულიდან გამომდინარე იგი ხასიათდება ბევრი მეთოდით, განხილული იქნება რამდენიმე ყველაზე გავრცელებული და საშიში მეთოდი. მძევლების აყვანა, რაც გულისხმობს პირის ან პირთა წრის მათი სურვილის საწინააღმდეგოთ დაკავება, რათა მოხდეს მათი სურვილების დაკმაყოფილება, ასევე საჰაერო ან საზღვაო ხომალდების უკანონოდ ხელში ჩაგდება ამ ხომალდზე არსებული ხალხის ჩათვლით და ასევე ცნობილი მეთოდია ასაფეთქებელი ნივთიერებების საშუალებით მიზნის მიღწევა.[118]

როდესაც საუბარია ტერორისტულ დანაშაულზე აუცილებელია განხილულ იქნეს ამ დანაშაულის მიზეზები, რომელთა ცოდნასაც მასთან ბროლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ძირითად მიზეზად სახელდება როგორც სოციალური ასევე ეკონომიკური ფონის საგრძნობლად გაუარესება, რაც ადამიანში იწვევს უსამართლობის შეგრძნებას და აგრესიას, ასევე საბრძოლო იარაღის ადვილი მოპოვება რაც უმეტესად ხდება საომარ მდგომარეობაში მყოფ ქვეყნებში, ასევე ტერორისტების საქმიანობისთვის რეკლამის გაწევა რასაც ხშირი ხასიათი აქვს. ამასთან ყველაზე გავრცელებული მიზეზი არის რელიგიური კუთხით დისკრიმინაცია, რაც გულისხმობს, რომ ამ დაჯგუფების წევრები თავიანთ რელიგიას თვლიან ერთადერთად და იდელაურად და სხვა რელიგიებსაც აიძულებენ აღიარონ იგი.[119]

რაც შეეხება ტერორიზმის პრევენციას, ამ მხრივ არსებობს რიგი სიძნელეები ვინაიდან ეს დანაშაული გავრცელებულია მთელს მსოფლიოში და ასევე გავრცელებულია მისი წარმოშობის მიზეზები, რაც დიდ სირთულეს უქმნის სახელმწიფოებს აღნიშნულ დანაშაულთან ბრძოლაში. პრევენციის ზოგადი ფორმის მიხედვით, საჭიროა ქვეყნის ეკონომიკის გამყარება და განვითარება, ასევე პოლიტიკურად ძლიერი და სწორი გადაწყვეტილებების მიღება, მნიშვნელოვანია ეკლესიის როლის ჩართვა, ვინაიდან ეს ყოველთვის მოქმედებდა საზოგადოებაზე. რაც შეეხება სპეციალურ ფორმებს ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს რეფორმების გატარება როგორც კანონმდებლობაში ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რათა მოზარდის განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აღმზრდელობითი დაწესებულებების მიდგომები, ასევე აუცილებელია ანტირეკლამის

[117] იქვე.
[118] იქვე, 244-246.
[119] იქვე, 247-249.

გაკეთება და საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება, რომელიც ამ დანაშაულისადმი მიუღებლობის განცდას გამოიწვევს.[120]

იმისათვის, რომ ეს ბრძოლა უფრო ეფექტური გახდეს საჭიროა ახლად ჩადენილ დანაშაულზე შესაბამისი რეაგირება რამაც შეიძლება მათი კვალის პოვნის შესაძლებლობა გააჩინოს, ასევე აუცილებელი გადამზადებული იყვნენ ის სტრუქტურები, რომლებსაც უშუალო შემხებლობა უნდა ჰქონდეთ ამ დანაშაულთან, რათა იცოდნენ გასატარებელი ზომების შესახებ და არ იხევდნენ უკან, ასევე საჭიროა ამ დანაშაულის აღწერა როგორც სტატისტიკის ასევე ინფორმაციის კუთხით, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, უნდა მოხდეს ამ დანაშაულისთვის ნასამართლევი პირის მუდმივი კონტროლი, ვინაიდან დიდია იმის ალბათობა რომ იგი გააგრძელებს დანაშაულებრივ საქმიანობას როგორც სხვა ასევე ამ სფეროში, რაც უმეტეს შემთხვევებში ასეც ხდება.[121]

ამ დანაშაულთან ბრძოლაში მნიშვნელოვანია როგორც საზოგადოების ასევე არასახელმწიფოებრივი ორგანოების მხარდაჭერა და ჩართულობა, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს საჭირო ინფორმაციის დროული მიწოდება შესაბამისი ორგანოებისათვის და მოახდინონ ამ დაჯგუფებების მიმართ საზოგადოების და ახალგაზრდების ინფორმირებულობა და სხვა.[122]

5.7. ადამიანთა ტრეფიკინგი

აღნიშნულ დანაშაულს განსაზღვარს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის მიხედვითაც ადამიანთა ტრეფიკინგი ნიშნავს:

> „ადამიანის ყიდვა ან გაყიდვას, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელებას, აგრეთვე მუქარით, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმით, მოტაცებით, შანტაჟით, თაღლითობით, მოტყუებით, უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, საზღაურის ანდა სარგებლის მიცემის ან მიღების გზით იმ პირის თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე ზეგავლენის

[120] იქვე, 251-252.
[121] იქვე, 250.
[122] იქვე. 252.

მოხდენა შეუძლია, ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით.“[123]

ადამიანთა ტრეფიკინგი წარმოადგენს ტრანსნაციონალურ დანაშაულს, რაც გულისხმობს ადამიანის ან მათი გარკვეული წრის სხვა ქვეყანაში გადაყვანას და დანაშაულებრივ ექსპლუატაციას. იმისათვის რომ ეს დანაშაული სისრულეში იქნეს მოყვანილი საჭიროა რამდენიმე პირობის არსებობა, ესენია: ადამიანების მოძიება, შემდგომ სხვა ქვეყანაში ჩყვანა და დანაშაულებრივი ექსპლუატაციისთვის გამწესება შესაბამის ადგილას. როგორც წესი ამ დანაშაულს ახორციელებს რამდენიმე პირი, ვინაიდან დანაშაულის ყოველ ეტაპს მას სხვადასხვა პირი ხელმძღვანელობს.[124]

ადამიანების შეკრებას როგორც წესი უმეტეს შემთხვევაში ახორციელებენ მცდარი ინფორმაციის მიწოდებით ან რაიმე ძალადობრივი ქმედების გამოყენებით. ადამიაების დაინტერესება ხდება სახალხოდ შეთავაზებების და რეკლამების გაკეთებით, რომ ისინი სხვა ქვეყანაში წასვლით განახორციელებენ თავიანთ სურვილებს, ხოლო ძალის გამოყენება უმეტესად ხდება ისეთ ქვეყნებში სადაც მიმდინარეობს საომარი მდგომარეობა ან მასობრივი არეულობა.[125]

მისი ძირითადი მახასიათებელი არის ის, რომ ადამიანების ქვეყნიდან გაყვანა უმეტეს შემთხვევაში ხორციელდება მათი სურვილით. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ არის შემთვევები, როდესაც ადამიანს გააზრებულია აქვს ქვეყნის დატოვების შესაძლო რისკები მაგრამ მაინც მიდიან იმ მიზნით, რომ უკეთეს პიროებში იცხოვრებს შედეგად კი ტრეფიკინგის მსხვერპლნი ხდებიან. ასევე საყურადღებოა, რომ ქვეყნის შიგნით ამ დანაშაულის დაბალი მაჩვენებელი არსებობს.[126]

ადამიანთა ტრეფიკინგი დამახასიათებელია დაბალ განვითარებულ ქვეყნებში, რადგან როგორც წესი ასეთ ქვეყნებში სოციალური მაჩვენებელიც დაბალია, ამიტომ ტრეფიკინგი ქვეყნის შიგნითაც გავრცელებულია, რაც ხელს უწყობს ამ ქვეყნიდან დანაშაულებრივი გზით ადამიანთა გაყვანას და მათზე ტრეფიკინგს უფრო მეტად განვითარებულ ქვეყნებში. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც სხვა ქვეყნებიდან ასევე საქართველოდან საზღვრებს გარეთ უამრავი ადამიანი მუშაობს უსაბუთოდ, ამიტომ არის მაღალი რისკი რომ ეს ადამიანები ტრეფიკინგში ჩართულნი აღმოჩნდნენ.

---

[123] საქართველოს პარლამენტი, *საქართველოს კანონი* #41(48), 13/08/1999 *წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი* (თბილისი: პარლამენტის უწყებანი, 02.07.2020), https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=223 (05.07.2020).
[124] ღლონტი, რედ., *კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა* საქართველოში, 220.
[125] იქვე, 221.
[126] იქვე, 222-224.

შესაძლებელია ადამიანთა ქყეყნიდან გაყვანა მოხდეს როგორც კანონიერი ასევე უკანონო გზით, არაკანონიერ გადაყვანას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც სხვა გზით ქვეყნის დატოვება ვერ მოხერხდება. ასევე მნიშვნელოვანი გარემოება არის ის, რომ ხშირად ქვეყნის კანონიერად დატოვებაში დამნაშავეებს მოსყიდული მაღალჩინოსანი, რაც მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ქვეყნისათვის და საზოგადოების უსაფრთხოებისათვის.[127]

ტრეფიკინგის მსხვერპლი უმეტეს შემთხვევაში არის მდედრობითი სქესის წარმომადგენლები, ვინაიდან სამსახურის მოუძიებლობის პრობლემა ქალებში გაცილებით მეტია, ამიტომ ისინი ცდილობენ სხვა ქვეყანაში იმუშაონ, ამასთან მათ სექსუალურ ექსპლუატაციაში უფრო ადვილად რთავენ და ასევე ძალადობა დანაშაულის აღსასრულებლად უფრო ადვილია ვიდრე კაცებში.[128]

დანაშაულის აღსასრულებლად იყენებენ იძულების რამდენიმე ხერხს, ფიზიკურს, რომლის დროსაც ადამიანი განიცდის ფიზიკურ ტკივილს, რათა მან შეასრულოს დამნაშავის მითითებები უნდა თუ არა მას ეს, ხოლო შეუსრულებლობის შემთვევაში მას გაცილებით სასტიკად ექცევიან, ეს პროცესი შესაძლებელია ხდებოდეს ნარკოტიკული და სხვა მსგავსი ნივთიერებების ძალით მოხმარებით, იმ განზრახვით, რომ იგი მიჯაჭვული გახადონ ამ ნივთიერებებზე და უფრო ადვილად დასამარჩილებელი. ფსიქიკურის შემთხვევაში მსხვერპლზე ხდება ფსიქოლოგიური ზემოქმედება და მუქარა, რომ დაუმორჩილებლობის შემთხვევაში მოხდება მისთვის სამარცხვინო პირადი ცხოვრებიდ დეტალების გასაჯაროვება, განსაკუთრებით ეფექტურია ეს მეთოდი სექსუალური ექსპლუატაციის დროს. ასევე ძალადობის მუქარა რომლის დროსაც მსხვერპლის დაშინება ხდება იმით, რომ მასზე განახორციელებენ ისეთ ძალადობას, რომელიც გამოიწვევს ფიზიკურ ტანჯვას ან სიკვდილს, როგორც წესი ასეთ დროს პარალელურად არ ხდება ფიზიკურად ძალადობის გამოყენება და მას მხოლოდ მუქარის ხასიათი აქვს.[129]

ასევე არსებობს, ეკონომიკური სახის იძულება რა დროსაც პირს დამნაშავეთა მიმართ აქვს ფულადი ვალდებულება შესასრულებელი ან მას არ გააჩნია სახსრები იმისათვის, რომ თავი ირჩინოს და ამიტომ იძულებულია დაემორჩილოს დამნაშავის მითითებებს. ასევე არის იურიდიული საშუალებების გამოყენებით პირის დამორჩილება და მისი ექსპლუატაცია, ასეთი საშუალება შეიძლება იყოს, ქორწინება შვილად აყვანა და სხვა, ქორწინების შემთხვევაში, ეს ხდება მაშინ, როდესაც მსხვერპლს არ აქვს ქვეყანაში დარჩენის უფლება და ამის გამო ქორწინდება იმ

[127] იქვე, 224-225.
[128] იქვე, 226.
[129] იქვე, 227-228.

იმედით რომ რამდენიმე წელში იგი მიიღებს საცხოვრებელ უფლებას, მაგრამ შედეგად ხდება ექსპუატაციის მსხვერპლი მისი მეუღლის მხრიდან, ხოლო შვილად აყვანის შემთვევაში, ეს ხდება იმ მიზნით, რომ ბავშვბზე მეურვეობა მოიპოვონ რათა მოახრეხონ მისი უპრობლემოდ გადაადგილება და მასზე ზეგავლენა.[130]

აღნიშნული დანაშაულის ყველაზე მძიმე ხერხს წარმოადგენს მონობა, რომლის დროსაც მსხვერპლს უსპობენ ყველანაირ თავისუფლებას და საკუთარი ნების განხორციელების საშუალებებ, იგი აბსოლუტურად დამოკიდებულია დამნაშავეზე და იძულებულია დაემორჩილოს მას. დანაშაულის ძირითადი მიზანია ფინანსური სარგებლის მიღება და ძირითადად ეს ხდება შრომითი ექსპლუატაციით, ანუ ხდება მსხვერპლის მუშახელად გამოყენება ან აიძლებენ მომსახურეობას რასაც ძირითადად სექსუალური ხასიათი აქვს. პირველის შემთვევაში ეს ხდება უმეტესად ისეთ სფეროში რომელსაც ლეგალური საფუძვლები აქვს, ხოლო მეორე უმეტესად ხდება ისეთი საქმიანობისას, რომელიც არალეგალურია.[131]

ექსპლუატაციის ამ სახეებისა, ასევე არსებობს ორგანოების ან რეპროდუქციული სისტემის ექსპლუატაცია, პირველის შემთვევაში ადგილია აქვს ორგანოებით ვაჭრობას სხვა ადამიანისთვის გადასანერგად, ეს ხშირ შემთხვევაში ხდება ღარიბი ქვეყნების მოსახლეობის მიმართ, რადგან ისინი ფულის სანაცვლოდ იძულებულნი არიან ასე მოიქცნენ. ხოლო მეორის შემთხვევაში იგულისხმება უმეტესად ქალების სხეულის იმგვარი გამოყენება, რომ მან თავის სხეულში მოახდინოს ორსულობა და და შემდგომ მშობიარობა, ხოლო ახალშობილი ხდება დამნაშავის ხელში, რომელიც მას გამოიყენებს ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით. ასევემეორე ფორმას მიეკუთვნება სუროგაცია, როდესაც იგი მხოლოდ ერთგვარი ჭურჭლის ფუნქციას ასრულებს, ვინაიდან უკვე არსებულ ჩანასახს ათავსებენ მის ორგანიზმში რათა ორსულობა და მშობიარობა მის მიერ განხორციელდეს, ამ მეთოდს იყენებენ უმეტესად უშვილო ადამიანები ან ისინი, რომელსაც ურჩევნია ეს პროცესი სხვის ორგანიზმში წარიმართოს.[132]

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სსაკანონმდებლო აქტები განსაზღვრავენ ტრეფიკინგის შემთხვევებს და მის მიმართ ბრძოლის ხერხებს, ამ დანაშაულის პრევენცია მაინც რთულია ვინაიდან მას განაპირობებს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი, ამათგან ყველაზე მნიშნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური სიდუხჭირე, რის გამოც ადამიანთა ნაწილი ცდილობს ფინანსური წყაროები მოიზიდონ სხვა ქვეყნებში და ყველაფერს აკეთებენ ქვეყნის გარეთ

[130] იქვე, 228-229.
[131] იქვე, 230-231.
[132] იქვე, 232-233.

გასასვლელად, რაც პოტენციურ ტრეფიკინგის მსხვერპლებად აქცევთ მათ, ასევე ამ საფუძველის არსებობის გამო ხშირია ქვეყნის შიგნითაც დანაშაულობა, უმეტეს შემთხვევაში ეს არი სექსუალური ექსპლუატაცია. შესაბამისად ამ დანაშაულის შემცირებისათვის, აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკური მდომარეობის გაუმჯობესება, ასევე საჭიროა მუდმივი კონტროლი ემიგრაციაში წასული მოსახლეობის, რომლებიც რისკ ჯგუფს განეკუთვნებიან და ყველაზე მნიშვნელოვანი პრეცენციის ღონიძიებაა საზოგადოების მეტი ინფორმირებულობა რომ მათ იცოდნენ რას უნდა ქნანს რომ ამ დანაშაულს აარიდონ თავი.

თავი VI. კვლევის შედეგები

მოცემული ნაშრომის თითოეული თავი მიმოხილულია თეორიულ მასალაზე დაყრდნობით და მოშველიებულია საკანონმდებლო აქტები. ნაშრომის მეორე თავი ეხება კრიმინოლოგიის ზოგადი არსის აღწერას და მის დახასიათებას, ასევე მიმოხილულია მისი შემადგენელი ნაწილები რომელსაც იგი შეისწავლის, ესენია საგანი და ობიექტი და განხილულია თუ რა იგულისხმება ამ ტერმინებში, ასევე გაანალიზებულია ის კვლევის მეთოდები, რომლის მიხედვითაც კრიმინოლოგია მოიპოვებს ინფორმაციას, ეს ძრითადი მეთოდებია: გამოკითხვა, დაკვირვება, შინაარსის ანალიზი და სხვა.

ნაშრომის მესამე თავი დაეთმო დანაშაულს, მის ისტორიულ მიმოხილვას, თუ როგორ ვითარდებოდა იგი საუკუნეების მანძილზე და რა თვისებები შეიძინა ამ დროის განმავლობაში, ასევე განხილულია მისი თითოეული ძრითადი მახასიათებელი, მაგალითად ორგანიზებულობა, აუცილებელი პირობების არსებობის საჭიროება, კატეგორიებად დაყოფა და სხვა, რომელთა გაანალიზების საფუძველზე შესაძლებელია ცალკეულ დანაშაულებთან ბრძოლა. ამასთან ცალკე ქვეთავად გამოიყოფა როგორც დანაშაულის მიზეზების ზოგადი დახასიათება ასევე ქართული კანონმდებლობის პოზიცია ამ საკითხისადმი, ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინდორმაციაა დანაშაულთან ბრძოლის კუთხით, ვინაიდან მიზეზების ცოდნა ამ საქმეში გადამწყვეტია, როგორც მიმოზილული თეორიიდან გამოიკვეთა ძირითადი მიზეზი რომელიც დანაშაულს უდევს საფუძვლად არის ეკონომიკური და სოციალური არასტაბილურობა.

როდესაც დანაშაულის მოძღვრებაზე არის საუბარი აუცილებელია მიმოხილულ იყოს დანაშაულის პრევენცია, ვინაიდან კრიმინოლოგიის ძირითადი ამოცანა სწორედ ეს არის, ამიტომ ნაშრომის მეოთხე თავი დაეთმო ზოგადად დანაშაულის პრევენციას, განხილულ იქნა მისი ძირითადი არსი და მიზანი, თუ რისთვის არის იგი საჭირო, ასევე განხილულია დანაშაულის პრევენცია ქართულ სისხლის სამართალში თუ რას მოიაზრებს ქართული კანონმდებლობა ამ ტერმინში და როგორ ხდება მისი შესრულება, კერძოდ კი ვის ევალება პრევენციის ონისძიებების გატარება და კონტროლი, ასევე განხილულია პრევენციის სახეების ზოგადი დახასიათება.

რაც შეეხება მეხუთე თავს ეს წარმოადგენს ნაშრომის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს, ვინაიდან ამ თავში დახასიათებულია საზოგადოებისთვის ყველაზე საშიში და პრობლემატური დანაშაულები როგორიცაა ტერორიზმი, ტრეფიკინგი, ნარკოტიკული დანაშაულები, ოჯახური

ძალადობა, რეციდიული დანაშაული და ორგანიზებული დანაშაული, ამასთან განხიილულია ქართული სამართლის მიდგომა და როლი ამ დანაშაულების კონტროლის საკითხში და ყველაზე მნიშვნელოვანი რაც არის მოყვანილია რეკომენდაციები თუ რა ღონისძიებების გამოყენებით არის შესაძლებელი ამ კონკრეტული დანაშაულების პრევენცია, თეორიული მასალის გაანალიზების საფუძველზე შეიძლება ითქვას რომ ამ დანაშაულის უმრავლესობა ჩადენილია ფინანსური სარგებლის მიღებისთვის, რასაც განაპირობებს ეკონომიკური მდგომარეობის დაბალი მაჩვენებელი, რომელის მოგვარებასაც ადამიანთა უმრავლესობა დანაშაულებრივი გზით ცდილობს, ამიტომ ხელისუფლების მიერ მნიშვნელოვანია ამ საკითხისადმი ყურადღების გამახვილება. ნაშრომის დასასრულს კი არის დასკვნა, რომელშიც მოკლედ არის მიმოხილული ნაშრომის მიზანი, შედეგები და რეკომენდაციები დანაშაულის თავიდან აცილების საკითხში.

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში დახასიათებული იქნა დანაშაული და განხილულ იქნა მისი პრევენციის ზომები როგორც ზოგადად ასევე ცალკეული დანაშაულების მაგალითებზე. შედეგად გამოიკვეთა კრიმინოლოგიის როგორც მეცნიერების მნიშვნელობა დანაშაულთან ბრძოლაში, ვინაიდან იგი შეისწავლის დანაშაულის მიზეზებსა და თავისებურებებს, რის ცოდნასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის პრევენციისათვის, რადგან თუ არ არის ცნობილი დანაშაულის გამომწვევი მიზეზი, მისი თავიდან აცილების გზებიც უცნობი იქნება.

ნაშრომში დახასიათებულია ცალკეული დანაშაულები, უმეტესი მათგანი წარმოადგენს მსოფლიო მასშტაბის პრობლემას და გამოირჩევიან მათი მძიმე შედეგებით, რომელიც გამოიხატება, როგორც სახელმწიფოზე ასევე საზოგადოების თითოეულ წევრის უსაფრთხოებაზე. ამიტომ მნიშვნელოვანია მათი პრევენცია. ერთ-ერთი მათგანი არის, ორგანიზებული დანაშაული რომელიც გამოირჩევა თავისი რთული სტრუქტურით, შესაბამისად რთულია მასთან ბრძოლა, მაგრამ არა შეუძლებელი. გაანალიზების შედეგად დადგინდა, რომ ეს დანაშაული ერთგვარ იმუნიტეტს გამოიმუშავებს მის მიმართ არსებულ ბრძოლაში განხორციელებული ღონისძიებებისადმი, ამიტომ აუცილებელია სახელმწიფომ მოახდინოს მისი ძალების დემონსტრირება რაც უნდა გამოიხატოს შესაბამისი ორგანოების სანდო თანამშრომლების დაკომპლექტებით, ასევე სახელმწიფომ ამ დანაშაულთან ბრძოლაში არ უნდა დაზოგოს სახსრები ბრძოლაში ჩართული ორგანოების გადამზადებაში და ანაზღაურებაში, რათა ვერ მოხდეს მათი მოქრთამვა. ამასთან მნიშვნელოვანია საზოგადოების სწორი ინფორმირებულობა, რომ მათი მხრიდან საჭიროების შემთხვევაში ადგილი ჰქონდეს შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობას და ასევე მეზობელი სახელმწიფოებთან თანამშრომლობა ამ დანაშაულთან ბრძოლაში.

რაც შეეხება ნარკოტიკულ დანაშაულს, მისი გაანალიზებისას გამოიკვეთა რიგი გარემოებები, რომლებიც ხელს უწყობენ მის ჩამოყალიბებასა და განვითარებას და რომლის დარეგულირებაც სახელმწიფოს მხრიდან შესაძლებელია, ადამიანის ფსიქიკის სისუსტესთან ერთად დანაშაულის წარმოქმნას განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლის დაბალი დონე, შესაბამისად სახელმწიფომ უნდა გააძლიეროს ეკონომიკა, ასევე აუცილებელია აიკრძალოს ნებისმიერი ნარკოტიკული საშუალებების რეკლამირება და მოახდინოს ახალგაზრდებისათვის ჯანსაღი ცხოვრების წესის წახალისება რაშიც იგულისხმება მაგალითად უფასო სპორტული წრეების შექმნა და სხვა. ამასთან მნიშვნელოვანია ამ დანაშაულის პრევენციისათვის სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობა და სასაზღვრო კონტროლის უფრო მეტად გამკაცრება, ვინაიდან

უმეტესად ნარკოტიკული საშუალებები ქვეყანაში უცხოეთიდან ჩუმად შემოდის. რაც შეეხება სამედიცინო სფეროს, ამ მხრივ აუცილებელია დაწესდეს იძულებითი მკურნალობა, ვინაიდან წამალზე დამოკიდებული ადამიანი ხშირ შემთხვევაში ვერ იაზრებს მის საქციელს და იმას თუ რა სავალალო შედეგამდე შეიძლება მიიყვანოს ამან.

რეციდიული დანაშაულის გაანალიზების შედეგად დადგინდა, რომ მთავარ პრობლემას წარმოადგენს მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია, რადგან საქართველოში პატიმრობიდან განთავისუფლებული პირთა უმრავლესობა ვერ იწყობს შესაბამის პირობებს სამუშაოსა და საცხოვრებელი ადგლის მხრივ, ამიტომ აუცილებელია როგორც სახელმწიფო ასევე საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა გამოიჩინონ ვალდებულება რომ პატიმრებს დაეხმარონ საზოგადოებაში ხელახალ დამკვიდრებაში. მნიშვნელოვანია ახლად გამოსული პატიმრების მუდმივი კონტროლი სახელმწიფო ორგანოების მხრიდან, რომ ისინი აარიდოს ისეთ გარემოებებს რომელმაც შესაძლებელია დანაშაულის განმეორებამდე მიიყვანოს. ამისათვის კი საჭიროა ცალკე ინსტიტუტის შექმნა და მათთვის უფლებამოსილების განსაზღვრა ამ კუთხით.

რაც შეეხება არასრულწლოვანთა დანაშაულს ამ შემთხვევაშიც ოჯახურ ფაქტორებთან ერთად მთავარი გამომწვევი მიზეზი არის ეკონომიკური კრიზისის არსებობა ქვეყანაში, ამიტომ სახელმწიფომ ისევ და ისევ უნდა იზრუნოს ეკონომიკურ მდგრადობაზე რათა ოჯახებმა შეძლონ სიღარიბის დაძლევა და ოჯახის წევრების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ასევე მნიშვნელოვანია აღმზრდელობითი დაწესებულებების რეორგანიზაცია, და მისი თანამედროვე სტანდარტებით დაკომპლექტება, რადგან დრემდე ქვეყანაში შემორჩენილია მასწავლებელტა შორის კომუნისტური შეხედულებები, რომლებიც არ იზიარებენ ბავშვთა ინტერესებს და შეხედულებებს. ასევე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ოჯახების, კონკრეტულად კი მშობლების ინფორმირებულობის უზრუნველყოფა, იმის შესახებ თუ როგორ პირობებში უნდა აღიზარდოს ბავშვი და რა უკუჩვენებები შეიძლება მოახდინოს ოჯახში დაძაბულმა ატმოსფერომ, ასევე მოახდინონ იმის გააზრება, რომ მათი შვილების მიერ ჩადენილი დანაშაული არ უნდა დაფარონ, რადგან ეს მიდგომა ბავშვს აფიქრებინებს დაუსჯელობაზე და იგი მომავალშიც გაიმეორებს მსგავს უკანონო ქმედებას, შესაბამისად საჭიროა მოზარდთა დანაშაული არ დარჩეს დასჯელი. სახელმწიფომ ამ დანაშაულის პრევენციას ყველაზე მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს, ვინაიდან მოზარდი მიეკუთვნება მომავალ თაობას და შესაბამისად მოზარდთა დანაშაულის მაღალი დონე მომავალში ქვეყნის კრიმინოლოგიურ სიტუაციაზე აუცილებლად აისახება.

დღეის მდგომარეობით ქვეყანაში ოჯახური დანაშაულის მაღალი მაჩვენებელია, რაც უმეტესად გამოწვეულია დამახინჯებული წეს-შვებულებების და ტრადიციების ქონით და ასევე ეკონომიკურ-სოციალური არასტაბილურობით. პრევენციისათვის მნიშვნელოვანია საზოგადოების განათლების დონის ამაღლება აღმზრდელობითი კუთხით რათა არ მოხდეს ბავშვებში არასწორი შეხედულებების შთაგონება, ასევე აუცილებელია სახელმწიფომ უზრუნველყოს იმ ოჯახების მუდმუვი მონიტორინგი, რომლების მიეკუთვნებიან ღარიბ ფენას ან ოჯახში ჰყავთ ნასამართლევი პირი, ვინაიდან სტატისტიკის მიხედვით ამ გარემოებების გამო ეს ოჯახები დანაშაულის პოტენციური ობიექტები არიან. მსჯელობის შედეგად გამოიკვეთა ყველაზე მნიშვნელოვანი და ასევე ადვილად მოსაგვარებელი პრობლემა, ეს არის საზოგადოების ინფორმირებულობა, რომ ასეთი დანაშაულის შესწრებისას ან ცოდნისას მისი სამართალდამცავი ორგანოებისათვის შეტყობინება არის ამ დანაშაულის პრევენციის ყველაზე ადვილი გზა და რომ ეს ქმედება არ არის სხვის საქმეში ჩარევა, როგორც ამას საზოგადოების უმრავლესობა ფიქრობს.

დანაშაულის მხრივ მშოფლიო მასშტაბის უმნიშვნელოვანეს პრობლემას მიეკუნება ტერორიზმი, მისი პრევენციისთვის აუცილებელია სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობა, ამასთან მთავრობამ უნდა უზრუნველყოს ეკონომიკური დონის რეგულირება, რადგან დანაშაულში ჩართული ადამიანები ამ პროცესში უმეტესად სიღარიბის გამო აღმოჩნდნენ. ასევე მნიშვნელოვანია ეკლესიის როლისა და ფუნქციების გაზრდა, რადგან მომავალი თაობა აღიზარდოს მორალურ და ეკლესიურ წესებზე, რათა ნაკლებად მოხადინონ მასზე რაიმე სახის გავლენა. საართალდამცავი ორგანოების მიერ მუდმივად უნდა ხდებოდეს ამ დანაშაულისთვის ნასამართლევი პირის კონტროლი, ვინაიდან არსებობს შანსი რომ მან კიდევ გაიმეოროს იგივე ქმედება. ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი უწყებების დაკომპლექტება და უზღუნველყოფა, რომლებიც შეძლებენ ამ დანაშაულთან უშუალო ბრძოლას.

რაც შეეხება ადამიანთა ტრეფიკინგს, ამ შემთხვევაში მთავარი პრობლემაც კვლავ ეკონომიკის დაბალი მაჩვენებელი გამოიკვეთა, რის გამოც უმუშევრად დარჩენილი ადამიანები ცდილობენ მონახონ გზები საზღვრების გადასაკვეთად და სამუშაოს დასაწყებათ, უმეტეს შემთხვევაში ისინი ტრეფიკინგის მსხვერპლნი ხდებიან. სწორედ ეს განაპირობებს ამ დანაშაულის მაღალ მაჩვენებებს. პრევენციისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი გზა არის სახელმწიფოს მხრიდან ემიგრაციაში მყოფი მოსახლეობისთვის ყურადრების მიქცევა და ეკონომიკის გაძლიერება, რომ შეიქმნას სამუშაო ადგილები. ასევე მოსახლეობის ინფორმირებულობა, იმის თაობაზე, რომ ყველა სამოგზაურო ან სამსახურის დამპირებელი კომპანია არ არის სანდო და მნიშვნელოვანი საკითხების

ცოდნა, რომელიც დაეხმარებათ ამ დანაშაულისგან თავის დაცვაში, ქვეყანაში ეს პროცესი გარკვეულწილად მიმდინარეობს, მაგრამ მეტი ეფექტურობისთვის საჭიროებს გაძლიერებას.

ყოველი ზემოაღნიშნული მსჯელობებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ უმრავლეს შემთხვევაში დანაშაულის მაპროვოცირებელი გარემოებას წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის არასტაბილურობა და საზოგადოების ნაკლები ინფორმირებულობა. ამიტომ სახელმწიფოს თუ უნდა, რომ წაროადგენდეს უსაფრთხო ქვეყანას მან პირველ რიგში მუშაობა უნდა დაიწყოს ეკონომიკური სფეროს გაძლიერებაზე და შემდგომ სხვა პრევენციულ ზომებს მიმართოს, ვინაიდან ძლიერი ეკონომიკის გარეშე აზრი არ აქვს სხვა ზომების გატარებას, რადგან ის წარმოადგენს ყველაზე დიდ მიზეზს დანაშაულობაში.

გამოყენებული ლიტერატურა

ავანესოვი, გ. და სხვები, კრიმინოლოგია, გამომცემლობა: იუნიტი-დანა, 2007.

ღლონტი, გ. რედ., *კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში,* თბილისი: თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, 2008.

ღლონტი, გ. და სხვები., *კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა აშშ&საქართველო.*

შალიკაშვილი, მ. კრიმინოლოგია თბილისი: მერიდიანი, 2011.

წულაია, ზ. *კრიმინოლოგია: ზოგადი ნაწილი.* თბილისი: ინტელექტი, 2003.

ნორმატიული მასალა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ (15.11.2000 მდგომარეობით), https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0 (05.07.2020).

პარლამენტი, ს. (2020 წლის 04. 06). *საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.* https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=221 (05.07.2020).

ელექტრონული ლიტერატურა

Кушнира. И. *Криминология.* Институт экономики и права: (2009) http://be5.biz/pravo/k041/5.html (04.07.2020).

Кушнира, И . *Криминология.* Институт экономики и права: (2005) http://be5.biz/pravo/k008/1.html (04.05.2020).